ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 4 იანვარი, 2022 | №2 (8780) | ფასი: 60 თეთრი



გვ.5

საბერძნეთში მოკლული 41 წლის ქუთაისელი შოთიკო თევდორაძეა

„მალხაზ თორიაზე თავდასხმის ადგილზე ჩამწერ კამერებს ანადგურებენ“

გახარიას პარტიის განცხადება

გვ.5

„ხელისუფლების მიზანია, ოპოზიცია გისოსებს მიღმა ჰყავდეს“

გვ.3

დავით კირკიტაძე: „საზოგადოება პროტესტის რა ფორმასაც აირჩევს, ისე იმოქმედებს ოპოზიცია“

„სააკაშვილს მოვინახულებ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მომეცემა... „ოცნება“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქვეყანაში რეპრესიული რეჟიმია“

„ნაციონალებმა უნდა დაასრულონ შიმშილობა, ბოიკოტი და მიწაზე დაეშვან“

რამაზ საყვარელიძე: „ქართულ ოცნებას“ საკადრო პოლიტიკის პრობლემა აქვს“

გვ.2

აშშ-ის საელჩო: „ოცნებამ“ მთავრობის ანგარიშვალდებულებას ძირი გამოუთხარა“

გვ.2

გვ.2

ლონდა თოლორაია: „პრეზიდენტის ვეტოს დიდი იმედი მაქვს“

დეკემბერში საქართველოში მხოლოდ 5 პროდუქტი გაიაფდა

გვ.4

გვ.3

1 წელიწადში პური საქართველოში 20.2%-ით გაძვირდა

ოკუპირებულ აფხაზეთში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება

გვ.4

რუსეთი კონფლიქტის „გადაჭრის“ თავის გეგმას კვლავინდებურად ახმიანებს

გვ.3

მოსახლეობის ნაწილს დენის გაზრდილი ტარიფის გადახდა მოუწევს

ISSN 1987-9385

2 მეუფე სტეფანე ისევ კლინიკაში რჩება

5 მიწის დარეგისტრირება ფასიანი გახდა

5 სააკაშვილი: „ჩემს საქმეზე პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას“

6 თურქეთში ინფლაციის დონე 36%-მდე გაიზარდა

„ნაციონალებმა უნდა დაასრულონ შიმშილობა, ბოიკოტი და მიწაზე დაეშვან“

რამაზ საყვარელიძე: „ქართულ ოცნებას“ საკადრო პოლიტიკის პრობლემა აქვს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, 2022 წელს რა მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებს უნდა ველოდოთ?

– ძალიან მჩქეფარე პოლიტიკურ დაპირისპირებას, რომლითაც გამოირჩეოდა გასული წელი, უნდა მოჰყვეს გააზრებული პოლიტიკა ორივე მხრიდან. თუ ოპოზიცია ძალიან მკვეთრი იყო, მან ეს სიმკვეთრე, თუ შეიძლება ითქვას, სიხისტე, უნდა შეცვალოს უფრო ქმედითი ნაბიჯებით, რომლებიც შედეგს მოუტანს. წინააღმდეგ შემთხვევაში იმედგაცრუება გარდაუვალია. ამომრჩევლის იმედგაცრუება კი, მოგეხსენებათ, ძალიან ძვირი უჯდება ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას.

ოპოზიციას აქტიურობის ვერც ერთმა რაუნდმა შედეგი ვერ მოუტანა, ამიტომ ველოდები, რომ ქმედებებში კორექტივებს შეიტანენ, რაც ნამდვილად სჭირდებათ.

– კონკრეტულად რა ცვლილებები? მთავარი აქცენტი რაზე უნდა გააკეთონ?

– გააზრებული, გათვლილი პოლიტიკა უნდა აწარმოონ და არა ემოციებით ნაკარნახევი. თუ ხედავ, რომ მოწინააღმდეგე შენს ემოციაზე თამაშობს, თუ მას აქვს გათვლა გაკეთებული, როგორ შეიძლება, შენს ამა თუ იმ ნაბიჯს უპასუხოს, ელემენტარულად, უნდა შეგეძლოს, ადეკვატური მაინც იყო. ოპოზიციურმა პარტიებმა საკუთარ თავზე უნდა გააძლიერონ მუშაობა.

– კონკრეტულ საკითხებზე რომ გადავიდეთ, ოპოზიციამ ბოიკოტის რეჟიმი მთლიანად უნდა დაასრულოს და პროცესები პარლამენტში გადაიტანოს?

– რა თქმა უნდა! ეს იქნება პირველი სწორი და ადეკვატური ნაბიჯი მათი მხრიდან. ოპოზიციამ უნდა დაასრულოს შიმშილობის, ბოიკოტის, დაუმორჩილებლობისა და ა.შ. ეტაპი, საქმიანი ოპონირება უნდა დაიწყოს და ამით მისცეს საზოგადოებას, ამომრჩეველს შესაძლებლობა, რომ დაინახონ, ოპოზიცია როგორ ხედავს ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრას, მისი ხედვა როგორია. ამით ამომრჩეველს, ბოლოს და ბოლოს, არჩევანის შესაძლებლობა ეძლევა, არჩევანს აკეთებს. ოპოზიცია მიწაზე უნდა დაეშვას, მიიღოს რეალობა და, რაც მთავარია, რეალობიდან მისეული გამოსავლის ხედვა დაანახოს ამომრჩეველს, საკუთარ ამომრჩეველს მაინც.

– ქუჩაში ხმაურმა შედეგი ვერ დადო, მაგრამ რამდენად შეძლებს ოპოზიცია პარლამენტში მუშაობით შედეგის დადებას?

– ჩვენ ოპოზიციაზე ვსაუბრობთ და გასაგებია ოპოზიციის ბერკეტები საპარლამენტო საქმიანობისას, მაგრამ ღირსეული ოპონირება, საკითხზე სწორი პოზიციის დაფიქსირება ძალიან მნიშვნელოვანია. მერწმუნეთ, ეს ბევრად უფრო პროდუქტიული იქნება როგორც ოპოზიციისთვის, ისე ქვეყნისთვის. პროცესები ქუჩიდან პარლამენტში თუ გადაინაცვლებს და ღირსეული ოპონირება იქნება, ეს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მოიტანს შედეგებს.

ქუჩაში ხმაურმა და ბოიკოტმა მათ პრაქტიკულად არაფერი არ მისცა. თუ ოპოზიცია, კონკრეტულად კი ნაციონალური მოძრაობა ცდილობდა ან ფიქრობდა, რომ 2003 წლის მოვლენებს გაიმეორებდა, მათ უნდა ვუთხრა, რომ პოლიტიკაში ასეთი „განმეორება“ არ ხდება. არ ხდება უბრალო მიზეზის გამო – დრო იცვლება, სხვა დრო და სხვა რეალობაა. ერთი მოვლენა მეორეს შეუძლებელია ჰგავდეს ან დაამსგავსო. ორი ერთნაირი მოვლენა ბუნებაში არ არსებობს.

– რაც შეეხება მმართველ პარტიას, „ქართული ოცნების“ წინაშე რა გამოწვევები დგას?

– მმართველ პარტიასაც, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს დღეისთვის გამარჯვებულია, ძალიან ბევრი პრობლემა აქვს. ბევრი პრობლემა უგროვდება, ერთი მხრივ, საგარეო პოლიტიკაში და, მეორე მხრივ, შიდა ურთიერთობებში. ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვან ასპექტებს შეიცავს, ვიდრე ოპოზიციასთან წარმოდგენილი პრობლემები, ვინაიდან საქმე სახელმწიფოსა და მის პერსპექტივას ეხება.

– კონკრეტულად რა პრობლემას გამოყოფდით, რომელიც „ქართულ ოცნებას“ აქვს?

– საკადრო პოლიტიკას გამოვყოფდი, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი ხელისუფლებისთვის. ერთ-ერთ ბოლო საკადრო ცვლილებას თუ განვიხილავთ, რატომ გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე, მკაფიო არგუმენტები საზოგადოებამ ვერ მოისმინა. თუკი მიზეზი არის ახლახან აღმოცენებული დაპირისპირება ან დიდი ხნის წინ მომწიფებული რაიმე პრობლემა, თუნდაც ისეთი, რომელიც მოვისმინეთ, კუჭავას დიდი ხანია სურს გარკვეულ პროექტებზე მუშაობა, რთულად დასაჯერებელია საზოგადოებისთვის. მეტი არგუმენტაციაა საჭირო.

მეორე გამოწვევა შეიძლება იყოს ეკონომიკური, თუნდაც პოსტპანდემიური ეტაპი იქნება სერიოზული გამოწვევა, მაგრამ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პანდემიაც დასრულდება და გამოწვევებსაც გავუძლებთ.

აშშ-ის საელჩო: „ოცნებამ“ მთავრობის ანგარიშვალდებულებას ძირი გამოუთხარა“

– გასულ კვირას მმართველმა პარტიამ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებით მთავრობის ანგარიშვალდებულებას ძირი გამოუთხარა.

ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადების თანახმად, განზრახ თუ უნებლიეთ, მმართველი პარტიის გზავნილი იყო, რომ ხელისუფლების დამოუკიდებელ ზედამხედველობას ან განსხვავებულ აზრს, კანონით განსაზღვრულსაც კი, პასუხი გაეცემა სამაგიეროს გადახდით, დასჯითა და გათავისუფლებით.

„გასულ კვირას მმართველმა პარტიამ ძირი გამოუთხარა მთავრობის ანგარიშვალდებულებას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებით, რომლის მოვალეობა პოლიციის მხრიდან ძალადობის გამოძიება და მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვაა; ზიანი მიაყენა ცალკეული მოსამართლის დამოუკიდებლობას საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებების განხორციელებით და შეასუსტა ნდობა სასამართლოს მიმართ უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი მოსამართლის დანიშვნით, რაც შერჩევის ხარვეზიანი პროცესით განხორციელდა.

საზოგადოებას არ მიეწოდა სარწმუნო არგუმენტები, თუ რატომ გახდა საჭირო ამ ცვლილებების ნაჩქარევად მიღება, სათანადო კონსულტაციების გარეშე.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ამ საკანონმდებლო ცვლილებებზე გამჭვირვალე განხილვისა და ანალიზის ნაკლებობა. განზრახ თუ უნებლიედ, მმართველი პარტიის გზავნილი იყო, რომ ხელისუფლების დამოუკიდებელ ზედამხედველობას ან განსხვავებულ აზრს, კანონით განსაზღვრულსაც კი, პასუხი გაეცემა სამაგიეროს გადახდით, დასჯითა და გათავისუფლებით.

შეერთებული შტატები ყოველდღე უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და სტაბილურობას ხანგრძლივი უსაფრთხოების თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამების მეშვეობით. ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები და კანონის უზენაესობისადმი ერთგულება არის საქართველოს საუკეთესო დაცვა რუსული აგრესიისგან.

ნაბიჯები, რომლებიც ასუსტებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, როგორიცაა სასამართლო ან დამოუკიდებელი საზედამხედველო უწყებები, აზიანებს საქართველოს მისწრაფებებს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ და ძირს უთხრის ძირითად თავისუფლებებს, რაც ქართული კულტურისა და საზოგადოების საძირკველს წარმოადგენს“, – ნათქვამია განცხადებაში.

ლონდა თოლორაია: „პრეზიდენტის ვეტოს დიდი იმედი მაქვს“

სახელმწიფო ინსპექტორი ლონდა თოლორაია აშშ-ის საელჩოს მკაცრ განცხადებას გამოეხმაურა.

„ფორმულასთან“ სატელეფონო საუბარში თოლორაია ამბობს, რომ საელჩო აგრძელებს კრიტიკის იმ ხაზს, რაზეც თავად აკეთებდა აქცენტს – რატომ მოხდა ინსპექტორის სამსახურის გაუქმება და ჩანაცვლება ასე სწრაფად, გამჭვირვალობისა და ღრმა ანალიზის გარეშე, რომ ეს არის ძირის გამოთხრა დემოკრატიისთვის და საზედამხედველო უწყების დასჯა განსხვავებული აზრის გამო.

თოლორაიას თქმით, მას ახლა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ვეტოს იმედი აქვს.

– მე არ ვიცი, ამაზე მძიმე განცხადება რა უნდა გააკეთოს აშშ-ის საელჩომ. კიდევ ერთხელ, ძალიან დიდი იმედი მაქვს პრეზიდენტის ვეტოსი და იმისი, რომ საქართველოს პარლამენტს კიდევ მიეცემა ერთი შანსი, – ამბობს ლონდა თოლორაია.

მეუფე სტეფანე ისევ კლინიკაში რჩება

მეუფე სტეფანე თავს კარგად გრძნობს და მდგომარეობა მკურნალობას ექვემდებარება, თუმცა ის ჯერ ისევ კლინიკაში რჩება.

ჭყონდიდის ეპარქია მეუფის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს:

„ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში უამრავი ზარი თუ შეტყობინება შემოდის – ინტერესდებიან მეუფის მდგომარეობით და უსურვებენ მალე გამოჯანმრთელებას.

სამწუხაროდ, მათი სიმრავლის გამო ვერ ვახერხებთ ყველასთვის პასუხის გაცემას, რის გამოც დიდ ბოდიშს ვიხდით. მეუფე თავს კარგად გრძნობს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ექვემდებარება მკურნალობას და ვიმედოვნებთ, სულ მალე დაუბრუნდება მსახურებას. მეუფის სახელით მადლობას გიხდით ყველას ყურადღებისა და კეთილი სურვილებისთვის. გილოცავთ შობა-ახალ წელს, მრავალს დაესწარით“, – ნათქვამია განცხადებაში.

„ახალ წელს დაულევია და გული მოგვაძრო ყველას“

37 წლის ირაკლი ჭკადუა გარდაცვლილი იპოვეს

თბილისში გუშინ, 3 იანვარს, ირაკლი ჭკადუა ოჯახმა სახლში გარდაცვლილი იპოვა.

37 წლის ირაკლიმ კორონავირუსი 1 თვის წინ გადაიტანა, თავს ნორმალურად გრძნობდა, თუმცა მოულოდნელად მისი ცხედარი საწოლში ოჯახის წევრმა ნახა.

ის ჯერ თავდაცვის სამინისტროს გენინსპექციის თანამშრომელი იყო, მერე კი კერძო ბიზნესსაქმიანობა წამოიწყო და კომპანია „ავარდის“ დამფუძნებელი იყო.

– უნიჭიერესი ახალგაზრდა დავკარგეთ ამ დილას. ირაკლი ჭკადუამ კორონავირუსი 1 თვის წინ გადაიტანა, თავს ნორმალურად გრძნობდა, მაგრამ დღეს მისმა ოჯახის წევრმა საკუთარ საძინებელში, საწოლში გარდაცვლილი ნახა.

ჩვენი აზრით, მისი მდგომარეობა პოსტვირუსულ პროცესში გართულდა.

ყველას გთხოვთ, ვაქცინა დროულად გაიკეთეთ. ვინ იცის, ირაკლი რომ აცრილიყო, ასე არ მოხდებოდა და 37 წლის კაცი საქიოში არ გადაინაცვლებდა.

ირაკლი ძალიან განათლებული იყო, საჯარო სამსახურშიც წარმატებულად საქმიანობდა და ბიზნესშიც, მაგრამ არაფერს ფასი არ ჰქონია. საწყალი ისე დაიღუპა, ცოლ-შვილი არ ჰყოლია, – ამბობს გარდაცვლილის ახლობელი.

„ძალიან მძიმე დილა გათენდა. მეგობრებისთვის დაბადებული ადამიანი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ცხოვრების მოყვარული ადამიანი, ასე მალე დაგვტოვებდი. ჩემო ძმაო, ირაკლი, ღმერთმა ნათელში გამყოფოს“, – წერს კახა მამულაშვილი.

ირაკლი ჭკადუას „პრაიმტაიმთან“ მომღერალი ბექა ჩხაიძე იხსენებს:

– სასწაული ბიჭი იყო. ყველასთან მეგობრობდა, ქეიფობდა და ერთობოდა სულ. უსაყვარლესი სვანების ოჯახია, უკეთილშობილესი ხალხი. ძმასთან ერთად გზის კომპანიაში მუშაობდა.

ახალ წელს დაულევია და ნაბახუსევზე უცებ გულით გარდაცვლილა.

ჩემი სვანი ძმა იყო. უკეთილშობილესი, უღალატო, გაჭირვებულების გვერდში მდგომი, ცარიელი გული.

არ არსებობს ადამიანი, ვინც იცნობდა და არ უყვარდა ირაკლი.

გული მოგვაძრო ყველას.

გიორგი ჯანჯღავა: „საქართველო 3+3 პლატფორმის შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებს“

საქართველო არ მიიღებს მონაწილეობას 3+3 პლატფორმის ფარგლებში დაგეგმილ მომავალ შეხვედრაში, რომელიც თურქეთში გაიმართება.

ამის შესახებ თურქეთში საქართველოს ელჩმა გიორგი ჯანჯღავამ განაცხადა. აღნიშნულ ინფორმაციას დეილი საბაჰი ავრცელებს.

– საქართველო ნამდვილად არ დაესწრება 3+3 შეხვედრას, – განუცხადა ჯანჯღავამ დეილი საბაჰს.

გამოცემის თანახმად, გიორგი ჯანჯღავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო თურქეთსაც და აზერბაიჯანსაც „სტრატეგიულ პარტნიორებად“ მიიჩნევს, ხოლო სომხეთს – „ისტორიულ და კარგ მეზობლად“.

– მაგრამ რუსეთი არის ქვეყანა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვს, – აღნიშნა ელჩმა.

მანამდე, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთი იმედოვნებს, საქართველოც დაესწრება მომავალ შეხვედრას.

როგორც გამოცემა წერს, ანკარა არაერთხელ გამოვიდა მოწოდებით, შეიქმნას ექვსი ქვეყნის პლატფორმა, რომელიც თურქეთის, რუსეთის, ირანის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთისგან შედგება, რეგიონში მუდმივი მშვიდობის, სტაბილურობისა და თანამშრომლობისთვის.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხელისუფლების მიზანია, ოპოზიცია გისოსებს მიღმა ჰყავდეს“

დავით კირკიტაძე: „საზოგადოება პროტესტის რა ფორმასაც აირჩევს, ისე იმოქმედებს ოპოზიცია“

იაგო ნაცვლიშვილი

„სააკაშვილს მოვინახულებ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მომეცემა... „ოცნება“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქვეყანაში რეპრესიული რეჟიმია“

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ თუ მის წინაშე არსებული ორი უმწვავესი პრობლემა არ მოგვარდება, პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავს, თუმცა, ამაში რა იგულისხმება, არ აკონკრეტებს. ეს ინფორმაცია ციხიდან მისმა ადვოკატმა გამოიტანა. სააკაშვილი კომუნიკაციის პრობლემის მოგვარებასა და დამოუკიდებელი ექიმების ჯგუფის მასთან შესვლას ითხოვს.

რა იგულისხმება უკიდურესი ფორმის პროტესტში? რას აპირებს ოპოზიცია და რა ფორმითა და საშუალებებით იგებენ ხოლმე ხალხის აზრს? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **დავით კირკიტაძე** საუბრობს.

– როგორც ცნობილი გახდა, მიხეილ სააკაშვილს შეუზღუდეს კომუნიკაციის საშუალება. რას ემსახურება ხელისუფლების ეს ქმედება?

– ამით ხელისუფლება კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ზრახვებს, კიდევ გვარწმუნებს, რომ ის არის რეპრესიული რეჟიმი. ბუნებრივია, მათგან ყველაფერია მოსალოდნელი და ისინი არაფრად აგდებენ არც პატიმრის, არც სამართლიანი სასამართლოსა და არც ადეკვატური ჯანდაცვის უფლებას. ამასთან დაკავშირებით ხდება ეს. ეს ხომ უცხო არ არის? მიჩვეული ვართ ამ ხელისუფლებისგან.

– აღარ აინტერესებთ, რა რეაქცია ექნებათ დასავლეთსა თუ ჩვენს საზოგადოებას?

– რა თქმა უნდა, ეს მათ აინტერესებთ და ადარდებთ, მაგრამ, უბრალოდ, ახლა ფიქრობენ, რომ საახალწლო პერიოდია და საზოგადოების ყურადღება სხვა რამეებზეა გადართული, ჰგონიათ, რომ მუდმივად ასე იქნება.

– მიხეილ სააკაშვილმა დააყენა პირობა, რომ გამოასწორონ ეს საკითხი – კომუნიკაციის პრობლემა და ასევე შევიდეს მასთან დამოუკიდებელი ექიმების ჯგუფი, თუ არადა, მიიღებს უკიდურეს ზომებს. თქვენი ინფორმაციით, რა იგულისხმება უკიდურეს ზომებში?

– არ ვიცი. ეს ინფორმაცია ჩემთვისაც მედიის საშუალებით გახდა ცნობილი. მე მოკლებული ვიყავი შესაძლებლობას, რომ მესამე პრეზიდენტი მენახა მას შემდეგ, რაც ის გორში გადაიყვანეს. მხოლოდ რუსთავის ციხეში მოვინახულე ის და ამ კონკრეტულ შემთხვევაზე უპრიანი იქნება, მათ გააკეთონ კომენტარი, ვინც ნახულობს მიხეილ სააკაშვილს ბოლო პერიოდში.

– თქვენ ხომ არ აპირებთ უახლოეს მომავალში მის მონახულებას?

– კი, როგორც კი ამის შესაძლებლობა მომეცემა, აუცილებლად მოვინახულებ. მოგეხსენებათ, დაწესდა შეზღუდვები და შეზღუდულია მნახველთა რაოდენობა, ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, ის ადამიანები შევიდნენ, რომლებმაც კონკრეტული ინფორმაცია უნდა გამოიტანონ ან კონკრეტულ თემებზე ისაუბრონ მასთან.

– ზოგადად რა გეგმები გაქვთ პარტიასა თუ პოლიტიკოსებს, თქვენც დაელოდებით ახალი წლის გავლას და მერე გააქტიურდებით?

– არა, ჩვენთვის და საზოგადოებისთვის მიზანი ნათელია. მთავარია, მისი განხორციელების გეგმებზე შევჯერდეთ და ეს იყოს საზოგადოებასთან შეთანხმებული და სინქრონული მოქმედება. კარგად ვაცნობიერებთ, რომ ხელისუფლება გვყავს ისეთი, როგორიც გვყავს. მას არ ესმის არც ცივილიზებული ფორმები და აბუჩად იგდებს ყველა იმ ადეკვატურ შეთავაზებას, რომლებიც აქვს ქვეყნის შიგნიდან ან ქვეყნის გარედან. ამიტომ უნდა მოვემზადოთ სხვა, არაძალადობრივი ფორმებისა და პროტესტისთვის, რაც, საბოლოო ჯამში, მოიტანს იმ შედეგს, რაც გვსურს, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს უფლება და მიხეილ სააკაშვილს პირველ რიგში, რომ აღარ იყოს რეპრესიული რეჟიმი და ამ ქვეყანაში ცხოვრება იყოს ბევრად უკეთესი, ვიდრე დღეს არის.

ხელისუფლება კმაყოფილია იმ ცხოვრებით, როგორითაც დღეს ცხოვრობს ხალხი და ტრაბახობენ კიდეც საკუთარი მიღწევებით, მაგრამ ხალხი ვერ გრძნობს ამ მიღწევებს. მეორე საკითხია ის, რომ ქვეყანაში არის პოლიტიკური დევნა და ამაზე უკვე ბევრი საუბრობს როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით.

იქცეს პროტესტის ცენტრად.

– ვხედავთ, რომ ხელისუფლებას არ ესმის კონსტრუქციული მიდგომები, რაც ჰქონდა ოპოზიციას მთელი ამ ხნის განმავლობაში. ხომ არ ფიქრობთ, რომ ცოტა რადიკალური ნაბიჯებიც არის გადასადგმელი, ხომ არ არის საჭირო უფრო მასშტაბური და პერმანენტული აქციები, რაც დააფიქრებს ხელისუფლებას?

– არა, საბოლოო ჯამში, ამ ხელისუფლებას არაფერი არ დააფიქრებს. მათი ერთადერთი საფიქრალი ძალაუფლების შენარჩუნებაა და ეს ძალიან კარგად ვიცით. მაგრამ მთავარია, საზოგადოებას უნდა თუ არა ასე ცხოვრება. შესაბამისად, საზოგადოება რასაც გადაწყვეტს, ისე იმოქმედებს ოპოზიცია, ცალკე აღებული – საზოგადოების გარეშე ხომ არ არსებობს ოპოზიცია! ოპოზიცია გამოხატავს ხალხის აზრს. საბოლოო ჯამში, საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, რა უნდა.

ხელისუფლებას კარგად აქვს ჩამოყალიბებული, რაც უნდა. მათ უნდათ ასე ცხოვრება, რომ გამდიდრდნენ მხოლოდ ისინი და საზოგადოება იყოს უკიდურეს გაჭირვებაში. ხელისუფლებას სურს, ოპონენტები იხილოს გისოსებს მიღმა და შეზღუდოს აზრის გამოხატვის საშუალებები, ასევე ის, რითაც საზოგადოება ყოველდღიურად იგებს ხოლმე სიმართლეს, ანუ საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, რა უნდა.

– როგორც მივხვდი, უახლოეს პერიოდში არ გეგმავთ, რომ რუსთაველის გამზირი – თვითმიზანი არ უნდა იყოს სადმე რაღაცა სახით პროტესტი. მიზანი უნდა იყოს ის, რომ აღარ ხდებოდეს პოლიტიკური დევნა. ამას როგორ და რა ფორმით მივაღწევთ, საზოგადოებასთან ერთად არის გადასაწყვეტი. როგორც გადაწყვეტს საზოგადოება, იმის მიხედვით უნდა იმოქმედოს პოლიტიკურმა ოპოზიციამ.

– საზოგადოებასთან ერთად როგორ იღებთ ხოლმე გადაწყვეტილებას, რა არის საზომი – სოციალური ქსელები თუ სხვა საშუალებები?

– არა მხოლოდ სოციალური ქსელი, თუმცა სოციალური ქსელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ამ აზრის შესასწავლად. ბუნებრივია, ათასი საშუალება არსებობს საზოგადოებრივი აზრის გასაგებად. კარგად გახსოვთ არაერთი აქცია თუ მანიფესტაცია, არაერთხელ ჩატარებულა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რაც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათ შორის სოციალური ქსელიც. ამ ყველა საშუალების გამოყენებით შესაძლებელია ჩამოყალიბება იმაზე, თუ რა სახის პროტესტი უნდა გამოხატო.

– კითხვაში სოციალურ ქსელზე აქცენტი იმიტომ გავაკეთე, რომ იქ უფრო ჩანს რადიკალური მოთხოვნები, გადავკეტოთ რუსთაველი და ა.შ.

– მესმის ეს და, ბუნებრივია, სოციალური ქსელიც მნიშვნელოვანია, კეთდება ანალიზი, მაგრამ შემიძლია, პირდაპირ გითხრათ, რომ ხშირ შემთხვევაში სოციალურ ქსელში გამოხატული და საზოგადოების რეალური აზრები ძალიან განსხვავებულია.

მოსახლეობის ნაწილს დენის გაზრდილი ტარიფის გადახდა მოუწევს

მოსახლეობისა და ბიზნესის ნაწილს დენის გაზრდილი ტარიფის გადახდა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ სემეკ-ის გადაწყვეტილებით, 2021 წლის 1-ლი იანვრიდან საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის ტარიფი 3.5 თეთრით გაიზარდა.

კერძოდ, „თელმიკოს“ სამომხმარებლო ტარიფების ნაწილში, თვეში 101 კილოვატ სათამდე და საერთო მრიცხველის მქონე აბონენტებისთვის ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი დღგ-ს ჩათვლით კვტ.სთ. ელექტროენერგიაზე 14.544 თეთრიდან 18.041 თეთრამდე გაიზარდა და, შესაბამისად, ერთ კვტ.სთ.-ზე ზრდამ 3.498 თეთრი შეადგინა. ამასთან, თვეში 101-301 კვტ.სთ. მომხმარებლებისთვის ტარიფი დღგ-ს ჩათვლით 22.053 თეთრამდე, ხოლო 301 კვტ.სთ.-ზე ზემოთ 26.537 თეთრამდე გაიზარდა. რაც შეეხება „თელმიკოს“ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებს, ამ შემთხვევაში ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა კვტ.სთ. ელექტროენერგიაზე 11 თეთრზე მეტი იყო.

რაც შეეხება „ეპ ჯორჯიას“ (ენერგოპრო), 101 კილოვატ/ საათამდე და საერთო მრიცხველის მქონე აბონენტებისთვის ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფი დღგ-ს ჩათვლით კვტ.სთ. ელექტროენერგიაზე 14.237 თეთრიდან 17.731 თეთრამდე გაიზარდა და, შესაბამისად, ზრდა ერთ კვტ.სთ.-ზე 3.494 თეთრი იყო. ამასთან, თვეში 101 – 301 კვტ.სთ. მომხმარებლებისთვის ტარიფი დღგ-ს ჩათვლით 21.707 თეთრამდე, ხოლო 301 კვტ.სთ.-ზე ზემოთ 26.227 თეთრამდე გაიზარდა. რაც შეეხება „ეპ ჯორჯიას“ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებს, ამ შემთხვევაში ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა კვტ.სთ. ელექტროენერგიაზე 10.8-დან 14.6 თეთრამდე იყო.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის გაზრდილი ტარიფები მოსახლეობის უმრავლესობას გასულ წელს არ უგრძნია, რადგან მთავრობის გადაწყვეტილებით, 2021 წლის განმავლობაში სახელმწიფომ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის გაზრდილი ტარიფს დაასუბსიდირა. მთავრობის გადაწყვეტილებით, გაზრდილი ტარიფი სრულად დასუბსიდირდა თვეში ელექტროენერგიის 300 კვტ.სთ.-ის მომხმარებლებისთვის.

ამასთან, მთავრობის მაშინდელი გადაწყვეტილებით, ელექტროენერგიაზე გაზრდილი ტარიფი 50%-ით დაუსუბსიდირდათ საკვები პროდუქტების მწარმოებელ ადგილობრივ კომპანიებსაც, როგორიცაა: მეფრინველეობა, ხორცის გადამუშავება და კონსერვირება, შინაური ფრინველის ხორცის გადამუშავება და კონსერვირება, ხორცის პროდუქტების წარმოება, თევზის, კიბოსნაირებისა და მოლუსკების გადამუშავება და კონსერვირება, კარტოფილის გადამუშავება და კონსერვირება, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებისა და კონსერვირების სხვა სახეები, ზეთებისა და ცხიმების წარმოება, მარგარინისა და მსგავსი საკვები ცხიმების წარმოება, რძის გადამუშავება და რძის პროდუქტების წარმოება, საფქვლეული პროდუქტების წარმოება, სახამებლებისა და სახამებელი პროდუქტების წარმოება, პურის წარმოება; არახანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის, ნამცხვრებისა და მისთ. წარმოება, ორცხობილებისა და მშრალი ნამცხვრის წარმოება, მაკარონის, ატრიის, კუსკუსისა და მსგავსი ცომეული პროდუქტების, შაქრის წარმოება, სუნელ-სანელებლებისა და საკაზმ-სანელებლების წარმოება, ჰომოგენიზებული საკვები პრეპარატებისა და დიეტური საკვები პროდუქტების წარმოება, მზა საკვების წარმოება ფერმის ცხოველებისათვის, მზა საკვების წარმოება შინაური ცხოველებისათვის.

ახლა კი სუბსიდირების ეს პროგრამა დასრულდა, შესაბამისად, უკვე 2022 წლიდან მოსახლეობისა და ბიზნესის ნაწილს მოუწევს, ელექტროენერგიის გაზრდილი ტარიფები გადაიხადოს.

ბპნ

1 წელიწადში პური საქართველოში 20.2%-ით გაძვირდა

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, წლიურ ჭრილში პური და პურპროდუქტები 20.2 პროცენტითაა გაძვირებული.

2021 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში – 0.3 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 13.9 პროცენტი შეადგინა. ინფორმაციას საქსტატი ავრცელებს.

როგორც ცნობილია, პურის გაძვირების საფრთხის წარმოქმნის მიზეზი რუსეთია. საქართველოს ექსპორტიორმა ქვეყანამ მცურავი საბაჟო გადასახადი 2 ივნისიდან აამოქმედა და მას შემდეგ ხორბლის შემოტანა სულ უფრო და უფრო ძვირდება. ახლა ქვეყანაში რუსული ფქვილის შემოტანა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე შემოტანილი ხორბლისგან გადამუშავებული

პურის მცხობელთა ასოციაციის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძის ინფორმაციით, პურის ფასს ჯერჯერობით არაფერი ემუქრება, მაგრამ, თუ ფქვილის შემოტანა შემცირდება, ეს პირველადი მოხმარების პროდუქციის ფასზე აისახება.

„რუსეთის მიერ გაძვირების ბოლო ტალღა, რა თქმა უნდა, ხორბლის იმპორტს აზარალებს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო ნამდვილად არ არის, მაგრამ ამავე დროს, მიმდინარეობს უკუპროპორციული პროცესი და ეს არის ფქვილის შემოტანა. იგი ისევ რუსეთიდან იყიდება ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე, რამაც მეპურეებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ერთადერთი მთავრობა თუ ჩაერევა იმაში, რომ ქართულმა წისქვილებმა იმუშაონ და, როგორც ვიცი, ამ საკითხზე მსჯელობენ კიდეც. შეიძლება, მათ ხორბალი შემოიტანონ, შეისყიდონ და ასევე სუბსიდირებაც განახორციელონ, რომ ხორბალი შემოატანინონ და შემდეგ გადაამუშაონ. არის მთელი რიგი პროცესები და ალბათ სახელმწიფო ამაზე ფიქრობს. ქვეყანას ისე არ დატოვებენ“, – აცხადებს დოლიძე. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წლის დეკემბერში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 6.0 პროცენტით განისაზღვრა.

კომერსანტი.გე

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

ოკუპირებულ აფხაზეთში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება

რუსეთი კონფლიქტის „გადაჭრის“ თავის გეგმას კვლავინდებურად ახმიანებს

მარიამ მჭედლიშვილი

2022 წელი ოკუპირებულ აფხაზეთში ფეიერვერკებით აღნიშნეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კრიზისული ვითარება მოგვარებულია.

პოლიტიკური კრიზისი გრძელდება. ოპოზიციის მიტინგები სოხუმში წლის ბოლოსაც გაიმართა. ამის შემდეგ დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია შეხვდა ოპოზიციონერებს. მათ შორის, „აფხაზეთის სახალხო მოძრაობის“ თავმჯდომარე ადგურ არძინბასა და საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ახიაცას“ ხელმძღვანელ ახრა ბჟანიას.

ოპოზიციონერებმა მოითხოვეს 12 მარტს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების გადატანა, მთავრობის გადაყენება და საკონსტიტუციო რეფორმა. პირველ ორ მოთხოვნას დე ფაქტო პრეზიდენტი არ დაეთანხმა. საკონსტიტუციო რეფორმა, მისი განმარტებით, მიმდინარეობს. სპეციალური კომისია შესაბამის წინადადებებს გააცნობს პარლამენტს. შეიცვლება აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოყალიბების წესი.

წინასაახალწლო ხალხმრავალ მიტინგებზე ოპონენტებმა ბჟანია-აბქვაბი-შამბას ხელისუფლება დაადანაშაულეს აფხაზეთის სუვერენიტეტის შელახვაში, ოპოზიციასთან დიალოგის უქონლობაში, ასევე – არასწორ მართვაში, რასაც მოჰყვა კორონავირუსისგან ადამიანების გარდაცვალება, ენერგოკრიზისი, ეკონომიკური პრობლემები.

ოპოზიცია განსაკუთრებულ აქცენტს „სუვერენიტეტზე“ აკეთებს. რეალურად, აფხაზეთი დამოუკიდებელი არ არის და სახელმწიფოდ არ ითვლება, თუმცა აფხაზეთის საზოგადოება მაინც მტკივნეულად ხვდება „სუვერენიტეტის“ შეზღუდვას. ასლან ბჟანიამ ერთ-ერთ შეხვედრაზე აღიარა, რომ აფხაზეთი სუვერენიტეტის ნაწილს რუსეთს უთმობს. ამან ოპოზიცია წყობიდან გამოიყვანა. აფხაზები ტრაგიკულად აღიქვამენ უცხო ქვეყნების მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების მიყიდვის საკითხსაც. კომპანია „მოსკვა რეზორტს“ მოუხდა მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი, სადაც რუსი ინვესტორები განმარტავენ, რომ ბიჭვინთაში დიდი სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად მიწა არ შეუძენიათ და ნაკვეთი სარგებლობის უფლებით მიიღეს.

ბჟანია-ანქვაბის ოპონენტები სექტემბრის ინციდენტის შემდეგ გააქტიურდნენ. 30 სექტემბერს აფხაზეთში „გამარჯვებისა და დამოუკიდებლობის“ დღე იზეიმება. ამ დღეს მოხდა შეხლა-შემოხლა ომის ვეტერანებსა და შსს-ს მაღალჩინოსნებს შორის. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ დეპუტატმა გარი კოკაიამ პისტოლეტიდან ჰაერში 10-ჯერ გაისროლა, შემდეგი სამართალდამცავებს არ დაემორჩილა. ვეტერანები მას გამოესარჩლნენ. ამის შემდეგ იმართებოდა მიტინგები შს მინისტრ დბარის გადაყენების მოთხოვნით. დბარი დროებით ჩამოაშორეს თანამდებობას. მოგვიანებით გამოძიებით დადგინდა, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია. დბარის მინისტრად დაბრუნებას ახალი პროტესტი მოჰყვა. საბოლოოდ, დიმიტრი დბარი დე ფაქტო სახელმწიფო დაცვის სამსახურში მიავლინეს, მის ადგილზე კი ვალტერ ბუთბა გაამწესეს.

ბჟანია-ანქვანის ოპონენტები ამანაც ვერ დააშოშმინა. ვეტერანი თემურ გულია აცხადებს, რომ ასლან ბჟანიას შემდგომი ყოფნა ხელისუფლებაში აფხაზეთს სუვერენიტეტს დააკარგვინებს. არგურ არძინბას თქმით, ქუჩაში გამოდის არა ოპოზიცია, არამედ, მთელი ხალხი, რომელიც ეწინააღმდეგება მმართველობის ძველ ფორმატს. ბჟანია შემთხვევით მოხვდა კაბინეტში, სადაც თავის დროზე ისხდნენ ვლადისლავ არძინბა და სერგეი ბაღაფში.

შეკრებილებმა გამოაცხადეს, რომ ორი წელიწადი აცდიდნენ ხელისუფლებას, არ უწყობდნენ საპროტესტო აქციებს, ხელისუფლებას საკმარისი დრო ჰქონდა რეფორმების გასატარებლად.

ამასობაში კრემლი ისევ ატარებს თბილისსა და სოხუმს, ასევე, თბილისსა და ცხინვალს შორის „დიალოგის“ აუცილებლობის იდეას. მოსკოვს თავისი ინტერესი აქვს: უნდა გამოიკვეთოს, რომ რუსეთი არაფერ შუაშია, რომ ესაა ქართველების კონფლიქტები აფხაზებთან და ოსებთან.

რუსეთის საგარეო მინისტრის მოადგილე ანდრეი რუდენკოს თქმით, გეოპოლიტიკური რეალიები სამხრეთ კავკასიაში უნდა გახდეს რეგიონული უსაფრთხოების სისტემის შექმნის საფუძველი.

მისი მტკიცებით, ეს იქნება გასაღები სოხუმსა და ცხინვალს შორის კონფლიქტების გრძელვადიანი მოწესრიგებისათვის. მუშაობა ამ მიმართულებით გულისხმობს შეთანხმებების გაფორმებას ძალის გამოუყენებლობაზე თბილისსა და სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის, ასევე – საზღვრების დელიმიტაციადემარკაციას.

რუსი დიპლომატი ამ საზღვრებს უწოდებს „ქართულ-აფხაზურსა“ და „ქართულ-ოსურს“.

აფხაზ საზოგადოებაში რუსეთის მხრიდან ამგვარი აქტივობაც გაღიზიანებას იწვევს.

– თუ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, იქნებ თვითონ გვეცადა საქართველოსთან დალაპარაკება? – სვამს კითხვას ერთ-ერთი აფხაზი.

9 წელიწადში საქართველოს საგარეო ვალი 393%-ით გაიზარდა

საგარეო ვალის ზრდა, ინფლაცია, რეფინანსირების განაკვეთი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საარსებო მინიმუმი და უმუშევრობა 2021 წლის ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია. „საერთაშოროსო კვლევებისა პროგნოზირების ცენტრის“ ვიცეპრეზიდენტმა, ეკ.დოქტორმა, ფინანსისტმა ნიკა შენგელიამ ,,კომერსანტთან“ დეტალურად განმარტა, თუ რა შედეგით დასრულდა 2021 წელი საქართველოს ეკონომიკისთვის და როგორი იყო ,,ქართული ოცნების“ მმართველობის 9-წლიანი პერიოდი სხვადასხვა ეკონომიკური პარამეტრის მიხედვით.

ნიკა შენგელიამ განსაკუთრებული აქცენტი საგარეო ვალზე გააკეთა და აღნიშნა, რომ 9 წელიწადში ეს მაჩვენებელი 393%-ით არის გაზრდილი.

,,სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობამ 2021 წელს 10.4 მლრდ აშშ დოლარი (32.6 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც მშპ-ს 59.6%-ია. აქედან სამთავრობო სექტორის ვალია 7.7 მლრდ აშშ დოლარი, ეროვნული ბანკის ვალდებულებები – 965.7 მლნ აშშ დოლარი, სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები 542.1 მლნ აშშ დოლარი, სახელმწიფო საწარმოების სესხები კი 1.2 მლრდ აშშ დოლარია. ეროვნული ბანკის თანახმად, საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა 12.9 მლრდ აშშ დოლარი (40.4 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 73.8%-ია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 6.3 მლრდ აშშ დოლარია (19.8 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 36.1%-ს შეადგენს.

ამ მონაცემებს თუ შევადარებთ 2012 წლის მონაცემებს, როდესაც ქვეყნის სახელმწიფო ვალი 6,6 მილიარდი ლარი იყო, ვხედავთ, რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში საგარეო ვალი 393%– ით გაგვეზარდა“, – განმარტა ნიკა შენგელიამ.

რაც შეეხება ინფლაციას, როგორც ფინანსისტი აღნიშნავს, ინფლაცია დაჩქარებულია ბოლო 10– წლიან მაქსიმუმამდე, კერძოდ, ბოლო 5 თვეს ფიქსირდება ორნიშნა მაჩვენებელი. ძირითადად გაძვირებულია სურსათი, რაც მოწყვლად ფენებს მძიმე მდგომარეობაში აყენებს. ცნობილია, რომ საქართველოში შინამეურნეობების სამომხმარებლო დანახარჯების 40%-ზე ცოტა მეტი სწორედ სურსათზე მოდის.

2021 წლის ნოემბრის მდგომარეობით, ინფლაცია 12,5%-ზე დაფიქსირდა.

ფასები გაზრდილია შემდეგ პროდუქტებზე: ზეთი და ცხიმი + 27.7% ,ბოსტნეული და ბაღჩეული + 26.2%, პური და პურპროდუქტები + 20.4%, რძე, ყველი და კვერცხი + 17.9%, შაქარი და ტკბილეული + 17.4%, თევზეული + 16.1%, ხილი + 15.5%, უალკოჰოლო სასმელები + 13.6%, ხორცის პროდუქტები + 10.7%, ყავა, ჩაი და კაკაო + 6.9%.

2021 წელს სურსათი და უალკოჰოლო სასმელი 17%-ით, ტრანსპორტი 20%-ითა და კომუნალური ხარჯები 11.5%-ით გაიზარდა.



,,ინფლაციის ზრდის მიხედვით საქართველო რეგიონში მე 2 ადგილზეა თურქეთის შემდეგ, მსოფლიოში – მე-16 ადგილზე. 2012 წლის მონაცემებით, წლიური ინფლაცია 2,5%-ის ფარგლებში იყო. სახეზეა 47%-იანი ზრდა. აქვე შეგახსენებთ, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ინფლაცია ყველაზე მაღალი, 7%, მხოლოდ 2019 წელს იყო.

ასევე არასახარბიელოა სებ-ის მონეტარული პოლიტიკა. რეფინანსირების განაკვეთი 10,5%-ია, 2008 წლის შემდეგ ღარი ახლა ყველაზე ძვირი ღირს. რეფინანსირების განაკვეთის სიდიდით თურქეთის შემდეგ რეგიონში მეორე ადგილზე ვიმყოფებით“, – განაცხადა ნიკა შენგელიამ.

მისი შეფასებით, საარსებო მინიმუმი ის სოციალური ორიენტირია, რომელსაც მთავრობა ხელფასების, შემწეობების, სტიპენდიებისა და სხვა სოციალური დახმარებების განსაზღვრისათვის გამოიყენებს და მისი ზრდა იმის მაუწყებელია, რომ ქვეყანაში ცხოვრება ძვირდება და არსებობის მინიმალური დონის შენარჩუნებისათვის მეტი თანხაა საჭირო, ვიდრე წარსულში.

შენგელიას თქმით, ინფლაციის დონის ზრდამ ქვეყანაში ცხოვრების ღირებულება გაზარდა. 2021 წელს შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 195 ლარიდან 224 ლარამდე გაიზარდა.

2021 წელს რეკორდულად გაიზარდა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისა და მოსახლეობის რაოდენობა. სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, ნოემბერში შემწეობა 637.747 მოქალაქემ და 172. 886 ოჯახმა მიიღო, რაც ქვეყნის მოსახლეობის 17.1%-ია. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით კი მოსახლეობის 21.3% იმყოფება

2021 წლის III კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე 2.5 პროცენტული პუნქტით, 19.5%-მდე გაიზარდა.

დღეის მდგომარეობით, რეგიონში უმუშევართა რაოდენობით ვიმყოფებით პირველ ადგილზე, ხოლო მსოფლიოში მე-10 ადგილი გვიკავია.

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, როგორც ფინანსისტი აღნიშნავს, საქართველოში 2021 წლის ბოლო 9 თვეში 728,4 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. აღნიშნული პანდემიამდელ 2019 წლის მაჩვენებელ ანალოგიურ პერიოდს 24%-ით ჩამოუვარდება.

,,გასათვალისწინებელია, რომ ინვესტიციების უდიდესი წილი რეინვესტირებაზე მოდის და ახალი ინვესტიციები ქვეყანაში ნაკლები შემოდის.

ცნობისათვის, ბოლო 8 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ინვესტიცია 1980,8 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით 2017 წელს შემოვიდა და მას შემდეგ გვაქვს კლება.

ასევე შეგახსენებთ, რომ 2013 წელს ქვეყანაში 1039,2 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია იყო შემოსული. ინვესტიციების შემოდინების საგანგაშო კლება სახეზეა.

ამასთან, ემიგრანტების მხრიდან 2021 წლის ნოემბრის ჩათვლით ქვეყანაში ჩამორიცხულია 2,1 მილიონი აშშ დოლარი. სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი წლის ბოლოსათვის შვიდ მილიარდ ღარს მიუახლოვდება.

ეს ის თანხაა, რომელიც ჩვენს ეკონომიკას 14%-მდე აგენერირებს და მოთხოვნის ზრდას უწყობს ხელს. თუ გადავხედავთ, სტატისტიკურად ემიგრანტებმა გაცილებით მეტი თანხა შემოიტანეს ქვეყანაში ბოლო 9 წლის განმავლობაში, ვიდრე ეკონომიკური გუნდის პოლიტიკამ ინვესტიცია მოიზიდა“, – აღნიშნა ,,კომერსანტთან“ ნიკა შენგელიამ.

რაც შეეხება საგარეო ვაჭრობას, 2021 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 12.8 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით 25.1%-ით მეტია.

10 თვეში ექსპორტი 26.7%-ით გაიზარდა და 3.8 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 24.5%-ით, 8.9 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა იანვარ-ნოემბერში $5.2 მილიარდი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.4%-ია.

როგორც ანალიტიკოსმა განმარტა, აღნიშნული ზრდა ეკონომიკის გააქტიურებასა და საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის აღდგენაზე მიუთითებს.

რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის დინამიკას, 2020 წელს პანდემიის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკა 6,8%– ით შემცირდა. მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობამ 49,2 მილიარდი ლარი, დოლარებში კი 15,8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე 13.234 ლარი (4.255 დოლარი) დაფიქსირდა.

საქსტატის ინფორმაციით, 2021 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 43 მილიარდი ლარი შეადგინა, რომელიც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7,7 მილიარდი ლარით მეტი იყო.

წინასწარი შეფასებით, ათი თვის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 10,5%-ია.

შენგელიას შეფასებით, 2021 წლის ეკონომიკური ზრდის ორნიშა ეფექტის მთავარი მიზეზი გასულ წელს დაფიქსირებული 6,8%-იანი შემცირებაა. აღნიშნული ორნიშნა ზრდა რომ მომხდარიყო პანდემიური პირობების გათვალისწინების გარეშე, მხოლოდ მაშინ ვიტყოდით, რომ ეს გასაოცარი შედეგი იყო.

მკვეთრი ვარდნის შემდეგ ეკონომიკის ნორმალურ დონემდე აღდგენა გვეჩვენება ორნიშნა ზრდად. საბაზისო ეფექტის ფაქტორის გათვალისწინებით, 2021 წლის შედეგი არ გახლავთ ეკონომიკის პირდაპირი გაგებით ზრდა. ეს უფრო შეზღუდული ეკონომიკის აღდგენა და გასული წლის ნეგატიური შედეგების გამოსწორება და განეიტრალებაა.

აქედან გამომდინარე, როგორც ფინანსისტი ასკვნის, 2022 წელს, მაღალი ალბათობით, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, სამწუხაროდ, ვერ მოხდება.

დეკემბერში საქართველოში მხოლოდ 5 პროდუქტი გაიაფდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში 0.3 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 13.9 პროცენტი შეადგინა.

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები, სასტუმროები, კაფეები და რესტორნები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ტრანსპორტი, კომუნალური გადასახადები.

,,ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ საკვები პროდუქტების სიას, რომლებზეც ფასი შემცირდა: ლიმონი – 17.5%; ხახვი – 15.38%; პომიდორი – 12.4%; წიწაკა – 3.3%; საზამთრო – 2.08%.

მოსამართლის დასჯა მისი სასწავლებელში გაგზავნა იქნება

მოსამართლის მიმართ სადისციპლინო სახდელის ერთ-ერთი სახე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მისი შესაბამის სასწავლებელში გაგზავნა იქნება. ამგვარი სადისციპლინო სახდელი „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტში აისახა.

როგორც „ქართული ოცნების“ დეპუტატმა გურამ მაჭარაშვილმა განმარტა, ეს არის ოპოზიციის შეთავაზება, რაც მან, როგორც მომხსენებელმა, გაიზიარა.

აღნიშნულთან დაკავშირებით „გირჩის“ დეპუტატმა იაგო ხვიჩიამ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ ის ოპოზიციასთან ასეთ შეთანხმებას ემიჯნება, რადგან მოსამართლეების იძულებითი სწავლა მისთვის მიუღებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები განხილვის პროცესში დაკორექტირდა.

კანონს აღარ დაემატა მოსამართლეთა მიმართ შემდეგი ახალი დისციპლინური სახდელები - სხვა სასამართლოში გადაყვანა არაუმეტეს ხუთი წლის განმავლობაში და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის დაქვეითება რაიონულ სასამართლოში, არაუმეტეს ხუთი წლის განმავლობაში.

ხაშურში 4-შვილიან გელა კიპაროიძეს სახლი დაეწვა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ აძვისში საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუჩნდა.

ხანძრის შედეგად სოციალურად დაუცველი ოჯახი ბინის გარეშე დარჩა.

დაზარალებულია გელა კიპაროიძის ოჯახი, რომელსაც 4 შვილი ჰყავს. მის დასახმარებლად სოციალურ ქსელში მოქალაქეები გაერთიანდნენ, ისინი ცდილობენ როგორც ფინანსურ, ასევე მატერიალურ დახმარებას.

– გადავწყვიტეთ, შევუგროვოთ თანხა უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ოჯახს. ყველას გთხოვთ, რისი საშუალებაც გვაქვს, დავეხმაროთ გაჭირვებაში მყოფ ოჯახს, – მიმართავს სოციალური ქსელით ხაშურელი აქტივისტი ზაზა მეხრიშვილი მოქალაქეებს.

რუსთავში 44 წლის მუშა დაიღუპა

რუსთავში, „რუსელოისის“ ქარხანაში უბედური შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა. შემთხვევა 2 იანვარს მოხდა. არსებული ინფორმაციით, 44 წლამდე ასაკის მამაკაცს ფეხი დაუცდა და ფოლადსადნობი საამქროს წყლის გამაგრილებელ რეზერვუარში ჩავარდა.

საწარმოში მობილიზებული იყვნენ მაშველები და მამაკაცი რეზერვუარიდან უკვე გარდაცვლილი ამოიყვანეს.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც შრომის უსაფრთხოების დაცვის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ბორჯომი-ხაშურის გზაზე ტრაილერი 2 მსუბუქს დაეჯახა

გუშინ, 3 იანვარს, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ბორჯომი-ხაშურის დამაკავშირებელ გზაზე – ერთმანეთს ტრაილერი და ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა, 4 კი დაშავდა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟებმა ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დაშავებულებს მოტეხილობები აქვთ და მათი მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა.

ადგილზე პოლიცია და სასწრაფო იყო მობილიზებული.

სროლა რუსთავის გზატკეცილზე

რუსთავის გზატკეცილზე სროლა იყო. გავრცელებული ინფორმაციით, ორმა პირმა ავტომობილს ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმეჯერ ესროლა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. საქმეზე დაწყებულია გამოძიება.

ჩაცხრილული ავტომობილი თელეთის პოლიციის ეზოში გადაიყვანეს.

სააკაშვილი: „ჩემს საქმეზე პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას“

– მიხეილ სააკაშვილი თვლის, რომ მნიშვნელოვანი იქნება, მის საქმეზე პარლამენტში შეიქმნას დროებით საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის მის მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტს.

ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა გიორგი მშვენიერაძემ რუსთავის პენიტენციარულ დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილის მონახულების შემდეგ განაცხადა.

ადვოკატის თქმით, სააკაშვილი მზად არის, თავად წარდგეს საგამოძიებო კომისიის წინაშე და კომისიის წევრებს შესაბამისი ინფორმაცია მიანოდოს.

– მიხეილ სააკაშვილს სჭირდება სათანადო სამედიცინო დახმარება, რომლის მიღებასაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვერ ახერხებს. დღემდე შეზღუდული აქვს უფლება, მიიღოს სამედიცინო მომსახურება და საკუთარი ექიმების ალტერნატიული აზრი მოისმინოს.

სააკაშვილი თვლის, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება პირდაპირ დაკავშირებულია მისი საქმის გამოძიებასთან, რადგან საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა ინტენსიურად, მასთან მიმართებაშიც, დეტალურად გამოიკითხა და ფიქრობს, რომ ამიტომ გადადგა ხელისუფლებამ ნაბიჯი, რათა შეანელოს გამოძიების პროცესი.

შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილი თვლის, რომ მნიშვნელოვანი იქნება, მის საქმეზე პარლამენტში შეიქმნას დროებით საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის მის მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტს, მათ შორის დააყენებს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს, რომლებიც ამ პროცესში იყვნენ ჩართულები. შესაბამისად, ჩვენი თხოვნა და მოწოდება იქნება 50 ოპოზიციონერი პარლამენტარი დეპუტატი-სადმი მათაც შეაფასონ ეს მდგომარეობა, – აღნიშნა გიორგი მშვენიერაძემ.

მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე მოთხოვნას აყენებს და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში კვლავ აანონსებს, რომ პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავს.

სააკაშვილი ითხოვს, აღუდგეს სატელეფონო ზარების განხორციელების უფლება, ასევე, მისი ჯანმრთელობის მონიტორინგში ჩაერთონ ცენტრი „ემპათია“, კონსილიუმი და უცხოელ ექსპერტთა ჯგუფები.

მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებას პირობების შესრულების ვადას 6 იანვრამდე აძლევს.

საბერძნეთში მოკლული 41 წლის ქუთაისელი შოთიკო თევდორაძეა

საბერძნეთში მოკლული საქართველოს მოქალაქე 41 წლის შოთიკო თევდორაძეა.

ირკვევა, რომ მას ცეცხლი იმ დროს გაუხსნეს, როცა მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად სახლიდან გამოდიოდა. ბერძნული მედია მკვლელობის მოტივად „ქურდული გავლენების“ განაწილებას ასახელებს.

გარდაცვლილის ცხედარს ქუთაისში გადაასვენებენ.

ქუთაისში თევდორაძის ახლობლები ადასტურებენ, რომ ის „ქურდული სამყაროს“ წარმომადგენელი იყო.

41 წლის შოთა თევდორაძე საბერძნეთში ოჯახთან ერთად წლების წინ წავიდა. ქუთაისის სახლში ამ დროისთვის გარდაცვლილის დედა იმყოფება, რომელიც მედიასთან არ საუბრობს.

მეზობლების თქმით, გარდაცვლილი კარგი პიროვნება იყო და მას დადებითად ახასიათებენ.

– შოთიკო იყო ძალიან კარგი ბიჭი და ადამიანი. თუნდაც ურჩხული ყოფილიყო, 5 წლის შვილის გვერდით მამას რომ მოკლავ, იმ ბავშვმა როგორ უნდა იცხოვროს?! – აცხადებს გარდაცვლილის მეზობელი.

– საოცარი, უკეთილშობილესი ბიჭი იყო ამ ქუჩაზე. მესამე საშუალო სკოლაში სწავლობდა, იყო ფრიადოსანი, მერე წავიდა... სხვა არაფერი ვიცი, ამბავი ტელევიზორით გავიგე, – ამბობს სხვა მეზობელი.

– კაპიკებზე და მილიონებზე არ შეირცხვენდა ის თავს. ესენი არიან სიმართლის ხალხი. მე არ მსმენია, ის „ქურდი“ იყო, პოდზაკონნი იყო თუ რა იყო, – ამბობს მოკლულის კიდევ ერთი მეზობელი.

მიყენებული დაზიანებების შედეგად მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. მას სასიკვდილო ჭრილობა თავის არეში აღენიშნება.

პოლიციამ ამოიღო კამერების ჩანაწერები. კადრებში ჩანს სავარაუდო დამნაშავე, რომელიც შავ ფორმაშია გამოწყობილი.

სამართალდამცველები საქართველოს მოქალაქის მკვლელობაში ეჭვმიტანილს მთელი ქვეყნის მასშტაბით ეძებენ.

თვითმხილველები ამბობენ, რომ რამდენიმე გასროლის ხმა გაიგეს.

– როგორც ვიცი, 3-4 გასროლა მოხდა მისი პარტნიორისა და 5 წლის ქალიშვილის თვალწინ. ცოტა ხანში სირენის ხმა გავიგე. წავედი სასწრაფოსკენ. პოლიციამ ტერიტორიას ალყა შემოარტყა, – განუცხადა ბერძნულ მედიას თვითმხილველმა.

მკვლელობასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია ვრცელდება. ერთ-ერთ ვერსიად ანგარიშსწორება და შურისძიება სახელდება. „კურიერმა“ რამდენიმე დეტალი გაარკვია, მათ შორის, თუ რას უკავშირდება შურისძიება.

როგორც ირკვევა, რამდენიმე თვის წინ საბერძნეთში ჩატარდა შეკრება, სადაც უნდა განეხილათ კონკრეტული პირების ქურდული სტატუსი. იქ იმყოფებოდა კანონიერი ქურდის, შაქრო კალაშოვის, გარემოცვის წევრი ვაჟა ბიგანიშვილი, რომელმაც ხმამაღლა თქვა, რომ შეკრების არც ერთ მონაწილეს კანონიერ ქურდად არ აღიარებდა და მეტიც, შურისძიებითაც დაიმუქრა.

ვრცელდება ასევე კიდევ ერთი ვერსია, რომელიც, შესაძლოა, მკვლელობის უკან იდგეს. ეს არის ჩეჩნური დაჯგუფება, კერძოდ კი აჰმედ დომბაევი.

როგორც „კურიერმა“ გაარკვია, მოკლულმა ხელი მოაწერა წერილს, რომელშიც სხვადასხვა პირები საუბრობდნენ, რომ დომბაევს კანონიერ ქურდად არ აღიარებდნენ.

მიწის დარეგისტრირება ფასიანი გახდა

მოქალაქეების მიერ მიწის ნაკვეთების საკუთრებაში დარეგისტრირება 2022 წლის პირველი იანვრიდან ფასიანი გახდა. ამასთან, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციაზე 2022 წლის 1 იანვრამდე წარდგენილ განცხადებებზე მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება დასრულდება უსასყიდლოდ, ანუ საზღაურის გარეშე.

მიწის რეგისტრაცია საქართველოში ორი წესით მიმდინარეობს – სისტემური და სპორადული წესით.

სისტემური წესით მიწის რეგისტრაციის ადგილებს იუსტიციის სამინისტრო განსაზღვრავს და ამ ადგილებში კერძო ნაკვეთების რეგისტრაცია მოქალაქეებისთვისაც უფასოა;

სპორადული წესით მიწის რეგისტრაციის დროს კი, მოქალაქე თავად აკეთებს საკადასტრო ნახაზს, რაც ფასიანია და შესაბამის დოკუმენტებთან ერთად წარადგენს საჯარო რეესტრში. ამის შემდეგ ყველა პროცედურა, მიწის რეგისტრაციის ჩათვლით, მოქალაქეებისთვის იყო უფასო.

რა ეღირება მიწის რეგისტრაცია ახალი წლიდან? – საჯარო რეესტრის მიერ მიწის ნაკვეთზე სპორადული წესით საკუთრების უფლების აღიარებისა და სარეგისტრაციო მომსახურების საფასური მთავრობას ჯერ არ დაუდგენია, თუმცა, როგორც საჯარო რეესტრში „ბათუმელებს“ უთხრეს, იანვრიდან, თუ განსხვავებული ფასები არ იქნა დადგენილი, მიწის, როგორც ქონების საკუთრებაში რეგისტრაცია 4 სამუშაო დღეში 50 ლარი ეღირება.

საჯარო რეესტრში დაზუსტებით ვერ ამბობენ, მიწის შემთხვევაში იმოქმედებს თუ არა რეგისტრაცია დაჩქარებული წესით (შესაბამისად, საფასურიც – 1 სამუშაო დღეში – 150 ლარი, იმავე დღეს რეგისტრაცია კი – 200 ლარი), ვინაიდან, „მიწის რეგისტრაციისას საჭიროა საარქივო დოკუმენტების მოძიება და დამუშავება, რაც დაჩქარებული წესით, შესაძლოა, ვერ მოხერხდეს“.

– ვინაიდან მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა განხორციელდეს, მოქალაქეებისთვის მიწის რეგისტრაცია მაინც უფასო იქნება. მაგრამ, თუ კონკრეტულ რაიონში არ არის დაწყებული სისტემური რეგისტრაცია, მოქალაქე არ დაელოდება და მოგვმართავს რეგისტრაციისთვის, მისთვის მიწის რეგისტრაცია ფასიანი იქნება. მოქალაქე გადაიხდის მხოლოდ რეგისტრაციის საფასურს, ხოლო არქივში და სხვა უწყებებში დოკუმენტების მოძიება ამ შემთხვევაშიც იქნება უფასო, – უთხრეს „ბათუმელებს“ საჯარო რეესტრში.

მიწის სისტემური რეგისტრაციის არეალებს იუსტიციის მინისტრი ბრძანებით განსაზღვრავს.

პიროტექნიკის აფეთქების გამო 4 მოზარდს კიდურების ამპუტაცია დასჭირდა

პიროტექნიკის გამოყენების შედეგად ათობით ადამიანია დაშავებული, მათ შორის არიან არასრულწლოვნებიც. სხვადასხვა დაზიანებით პაციენტები კლინიკებში გადაიყვანეს. დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელ გუგა ქაშიბაძის თქმით, ამ დრომდე ორი მცირეწლოვანი რჩება დამწვრობის ცენტრში. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, დაზიანებები კი სახის არესა და კიდურებზე აქვთ.

– სტაციონარში იმყოფება, სამწუხაროდ, 2 ბავშვი, 8 წლის და 9 წლის. მათ დამწვრობა აქვთ მიღებული პიროტექნიკის გამოყენებით შედეგად, დაზიანებული აქვთ ორივე მტევანი და სახის არე. ამჟამად იმყოფებიან დამწვრობის ცენტრის ბავშვთა განყოფილებაში. სულ დაფიქსირდა 30 შემთხვევა, დიდ უმრავლესობას ჩაუტარდა პირველადი დახმარება და მიეცათ რჩევა-დარიგება, – აცხადებს გუგა ქაშიბაძე.

რაც შეეხება იაშვილის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს, აქ 4 მოზარდი იმყოფება, რომელთაც კიდურების ამპუტაცია დასჭირდათ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ორთოპედ-ტრავმატოლოგის, პროფესორ ბიძინა კანაშვილის თქმით, ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქებამ თითის დაკარგვა ადგილზევე გამოიწვია.

– ჩვენს კლინიკაში არის 4 ბავშვი, ოთხივე მათგანი არის კიდურის მძიმე დაზიანებით, ამიტომ მოხდა მათი დაყოვნება. რაც შეეხება 2 ბავშვს, აღენიშნებოდა მსუბუქი დაზიანებები და უკვე გაწერილები არიან კლინიკიდან. ამ 4 ბავშვიდან 4-ვეს ადგილზე მოუვიდა ეს ამპუტაცია, ასაფეთქებელი მოწყობილობა რომ გასკდა, თვითონ იქვე მოხდა თითის ამპუტაცია, – აცხადებს ბიძინა კანაშვილი.

„მალხაზ თორიაზე თავდასხმის ადგილზე ჩამწერ კამერებს ანადგურებენ“

გახარიას პარტიის განცხადება

პარტია „საქართველოსთვის“ ინფორმაციით, ზუგდიდის საკრებულოს წევრის, მალხაზ თორიასა და მის არასრულწლოვან შვილზე თავდასხმის, ძალადობისა და მუქარის ფაქტზე შსსმ გამოძიება დაიწყო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე (ცეცხლსასროლ იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება), 151-ე (მუქარა) და 187-ე (სხვისი ნივთის დაზიანება) მუხლებით დაიწყო.

„პარტია „საქართველოსთვის“ პოლიტიკური მოტივით განხორციელებულ აღნიშნულ თავდასხმას აფასებს როგორც პარტიის წევრებისა და მხარდამჭერების მიმართ დაშინების და ზეწოლის სისტემური და მიზანმიმართული პროცესის კიდევ უფრო მძიმე გაგრძელებას, პროცესის, რომელიც ჯერ კიდევ არჩევნებამდე დაიწყო და არჩევნების შემდეგაც გრძელდება.

აღნიშნული თავდასხმა არის ხელისუფლების მხრიდან როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური უმოქმედობის შედეგი – დღემდე პარტიის წევრების და მხარდამჭერების მიმართ განხორციელებული პოლიტიკური დევნის ასზე მეტ ფაქტზე სისტემური რეაგირება სამართალდამცავების მხრიდან არ მომხდარა“, – წერია განცხადებაში.

„საქართველოსთვის“ ხელისუფლებას, შსსსა და პროკურატურას მოუწოდებს:

დროულად გამოიძიონ მალხაზ თორიაზე და მის არასრულწლოვან შვილზე მომხდარი თავდასხმა;

დროულად დაადგინონ თავდამსხმელთა ვინაობა, მათ შორის მათი შესაძლო კავშირები ხელისუფლებასთან და სამართალდამცავ უწყებებთან;

დროულად მიანიჭონ საქმეს შესაბამისი კვალიფიკაცია;

დაუყოვნებლივ მიიღონ ყველა ზომა მტკიცებულებათა განადგურების თავიდან ასაცილებლად. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, თავდასხმის მიმდებარე ტერიტორიაზე, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს არსებული კამერების მიზანმიმართულ განადგურებას.

თურქეთში ინფლაციის დონე 36%-მდე გაიზარდა

თურქეთში, ლირის კრიზისის ფონზე, დეკემბერში ინფლაცია 36%-მდე გაიზარდა, რაც 2002 წლის სექტემბრის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. თურქეთის სტატისტიკური ინსტიტუტის განცხადებით, წინა თვესთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები 13,58%-ით გაიზარდა. სამომხმარებლო ფასების ზრდა ტრანსპორტის ფასების ზრდამ განაპირობა, რომელიც გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 53.66%-ით, ხოლო სასმელების ფასები – 43.8%-ით. გარდა ამისა, თურქეთში ახალი წლიდან ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის საფასური იზრდება. ბუნებრივ აირში მომხმარებლები – 25%-ით, ხოლო ელექტროენერგიაში 50%-ით მეტს გადაიხდიან. თურქული ლირა 2021 წლის განმავლობაში 45%-ით გაუფასურდა.

სუდანის პრემიერი გადადგა

სუდანის პრემიერ-მინისტრმა აბდალა ჰამდოკმა თანამდებობა დატოვა. მინისტრის გადადგომის გადაწყვეტილების შესახებ ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც ქვეყანაში უსაფრთხოების ძალებმა კვირას, დედაქალაქთან სამხედრო გადატრიალების საწინააღმდეგო დემონსტრაციების დროს, სამი ადამიანი მოკლეს. მან ასევე შეაქო სუდანელი ხალხი საპროტესტო აქციების დროს „თავისუფლებისა და სამართლიანობის“ მოთხოვნის გადაწყვეტილების გამო და დასძინა, რომ ისინი ნამდვილად მიიღებდნენ უკეთეს მომავალს თავიანთი რევოლუციური ენთუზიაზმით.

25 ოქტომბერს მომხდარ სამხედრო გადატრიალებას სუდანის სხვადასხვა ქალაქში აპროტესტებენ. გადატრიალების დროს აბდალა ჰამდოკი დროებით დააკავეს. ქვეყნის სამხედრო უფროსმა, გენერალმა აბდელ ფატა ალ-ბურჰანმა, ნოემბერში ჰამდოკი პოზიციაზე აღადგინა, როგორც სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობას შორის შეთანხმების ნაწილი. მომიტინგეები ძალაუფლების სამოქალაქო ხელისუფლებისთვის გადაცემასა და გადატრიალების ლიდერების გასამართლებას მოითხოვენ.

თელ-ავივს ღაზიდან პალესტინელებმა 2 რაკეტა ესროლეს

ღაზის სექტორიდან თელ-ავივის მიმართულებით პალესტინურმა დაჯგუფებებმა ორი რაკეტა ისროლეს, რასაც ისრაელის თავდაცვის ძალების მხრიდან საპასუხო იერიში მოჰყვა.

მსხვერპლი არ არის.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღების შემდეგ, სექტემბრის ერთი ინციდენტის გარდა, სარაკეტო დარტყმა არ განხორციელებულა.

ჰაიტის პრემიერს თავს დაესხნენ

ჰაიტიზე ახალი ტერაქტი მოხდა. თავს დაესხნენ პრემიერ არიელ ანრს.

ატეხილი სროლის მიუხედავად, პრემიერი გადარჩა. დაცვამ ის უსაფრთხო ადგილას გადაიყვანა.

შეტაკებისას რამდენიმე ადამიანი დაიღუპა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალმა შვეულმფრენით მგზავრობაში ორმაგი ფასის გადახდის შემდეგ წონაში დაიკლო

120-კილოგრამიანი ამერიკელი ქალბატონი იძულებული გახდა თავისი ზედმეტი წონის გამო შვეულმფრენით სარგებლობისთვის ორმაგი ფასი გადაეხადა და შემდეგ წონაში 58 კილოგრამი დაიკლო.

ამერიკის მინესოტას შტატის მკვიდრმა 41 წლის საბრინა ოსლანდმა განაცხადა, რომ საკუთარ წონას და ჯანსაღ კვებას სერიოზულ ყურადღებას არასოდეს უთმობდა. ის წონაში იმატებდა და იკლებდა, ხოლო გად ატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ხშირად ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტებით იკვებებოდა.

ქალმა გახდომა მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც შვილთან ერთად ალიასკაზე სამოგზაუროდ გაემგზავრა. ერთ დღეს მათ დაგეგმილი ჰქონდათ ექსკურსია შვეულმფრენით. თუმცა გაფრენის წინ ქალს უთხრეს, რომ ზედმეტი წონის გამო მას ორმაგი ფასის გადახდა მოუწევდა.

– თუ მგზავრის წონა გარკვეულ ნიშნულს აღემატებოდა, მას მეორე ბილეთის ფასიც უნდა გადაეხადა, ვინაიდან მეორე მგზავრს მის გამო სხვა რეისის მოცდა მოუწევდა, – განაცხადა ოსლანდმა.

ქალი ამ ყოველივემ გააოგნა და გადაწყვიტა, რომ რადაც არ უნდა დასჯდომოდა ზედმეტი წონა უნდა დაეკლო. იმ მომენტისთვის მისი წონა 120 კილოგრამს აღემატებოდა. ამისთვის მან თავდაპირველად ყოველდღიური ნახევარსაათიანი ფეხით სეირნობა შემოიღო. როდესაც საკმარისად მომაგრდა, სულ უფრო ხანგრძლივ გასეირნებებს აწყობდა და მას სპორტულ დარბაზში ვარჯიშები დაუმატა.

ასევე ოსლანდმა სრულიად შეცვალა საკუთარი მიდგომა საკვების მიმართ. ის ახლა უკვე მხოლოდ მაშინ ჭამდა, როდესაც მართლაც შიმშილის გრძნობა აწუხებდა და მხოლოდ ჯანსაღ პროდუქტებს ირჩევდა.

– სრულიად შემეცვალა აზროვნება და მივხვდი, რომ საფუძვლებს უნდა დავბრუნებოდი, ყური დამეგდო ორგანიზმის რეალური მოთხოვნებისთვის, – აღნიშნა ამერიკელმა.

ამ ყოველივემ კი ის შედეგი გამოიღო, რომ ერთი წლის განმავლობაში ქალმა 120 კილოგრამიდან 61 კილოგრამამდე გახდომა მოახერხა.

გეიმერმა ინტერნეტით შეკვეთილი ფლეისთეიშენ 5-ის მაგივრად ბრინჯი მიიღო

რედიტის მომხმარებელმა განაცხადა, რომ ახალი სათამაშო კონსოლი ფლეისთეიშენ 5 შეუკვეთა შობისთვის და მის მაგივრად ბრინჯი მიიღო.

გეიმერის თქმით, მეტად გულდაწყვეტილი აღმოჩნდა, როდესაც ამაზონისგან მიღებულ ამანათში შეკვეთილი სათამაშო კონსოლის ნაცვლად ბრინჯის შეკვრა აღმოაჩინა. მან ინტერნეტში გამოქვეყნებულ პოსტს დაურთო მიღებული ამანათის ფოტოსურათი.

– შევუკვეთე ფლეისთეიშენ 5 ამაზონზე და ზედმეტია იმის თქმა, რომ შობის დღესასწაული გამიფუჭდა, – დაწერა კომენტარში გეიმერმა.

ფოტოსურათზე ჩანს ნაწილობრივ გახსნილი ყუთი, ამაზონისგან მიღებული ამანათი და მასში ახალი სათამაშო კონსოლის ნაცვლად მოთავსებული ბრინჯის მოზრდილი შეკვრა. მოგვიანებით გეიმერმა განაცხადა, რომ ბრინჯის უკანვე გაგზავნა სთხოვეს, მისთვის ფულადი კომპენსაციის გადასახდელად.

მოზარდმა პოპკორნის კოლოფში ზაზუნა აღმოაჩინა

ამერიკის ალაბამას შტატში მოზარდი მეგობრებთან ერთად კინოთეატრში ფილმ „ადამიანი ობობას“ სანახავად წავიდა და კინოსეანსის დროს პოპკორნის მოზრდილ კოლოფში ზაზუნა აღმოაჩინა.

მოზარდების თქმით, ფილმის ყურების დროს მათ შენიშნეს, რომ იატაკზე ვირთხის მსგავსმა ცხოველმა გაირბინა. მათ ფეხები ასწიეს, რათა მისთვის გზა არ გადაეღობათ. შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა პოპკორნის კოლოფში ხელი ჩაყო და მოულოდნელად მასში ზაზუნა აღმოაჩინა.

მოზარდმა მღრღნელი კინოთეატრის ერთ-ერთ თანამშრომელს მიუყვანა, მაგრამ ამ დროს ცხოველმა მას უკბინა და ბიჭმა მას ხელი გაუშვა. ცხოველი მაინც დაიჭირეს, ხოლო მოზარდს კინოთეატრის ბილეთის და პოპკორნის ფული დაუბრუნეს.

ბავშვების შოკოლადის რძის სიყვარულმა მათ მამას სიმდიდრე მოუტანა

ამერიკის ვირჯინიის შტატის ჩესტერფილდის ოლქის მცხოვრები მაღაზიაში შოკოლადის რძის საყიდლად წავიდა. პროდუქტთან ერთად მან ლატარიის ბილეთიც შეიძინა და 640.2 ათასი დოლარით გამდიდრდა.

დენის უოლოუბი ქალაქ რიჩმონდის მაღაზიაში თავისი შვილების საყვარელი ტკბილეულის შოკოლადის რძის საყიდლად შევიდა. იქ კი მან გადაწყვიტა, რომ პროდუქტთან ერთად მომენტალური ლატარიის ბილეთიც შეეძინა.

მამაკაცმა ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და გაოგნებული აღმოჩნდა, როდესაც გაირკვა, რომ მისმა ამ გადაწყვეტილებამ ის გაამდიდრა: მან ჯეკპოტი მოხსნა. ამერიკელის მოგებამ მილიონი დოლარი შეადგინა.

უოლოუბმა გადაწყვიტა მოგებული თანხა 30 წლის განმავლობაში ეტაპობრივად კი არ მიეღო, არამედ ერთიანად. ამიტომ გადასახადების გასტუმრების შემდეგ მისმა მოგებამ 640,2 ათასი დოლარი შეადგინა.

ზოოპარკში დამლაგებელზე თავდასხმის გამო ვეფხვი მოკლეს

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ნეიპლსში მოკლეს უიშვიათესი მალაიზიური ვეფხვი, რომელიც ადგილობრივი ზოოპარკის ბინადარი იყო.

მტაცებელი ცხოველი თავს დაესხა კომპანიის თანამშრომელს, რომელიც ზოოპარკის ტერიტორიაზე ტუალეტებისა და სუვენირების დახლების დალაგება– დასუფთავებითაა დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველებთან მიახლოება აკრძალული ჰქონდა, მან ვეფხვის ვოლიერში ხელი მაინც შეყო და, სავარაუდოდ, მის მოფერებას ან საკვების მიცემას ცდილობდა.

რვა წლის მალაიზიური ვეფხვი, ეკო, რომელიც ზოოპარკში 2020 წლიდან ცხოვრობს, დამლაგებელს კბილებით ხელში ჩააფრინდა. შერიფის თანაშემწე, რომელიც თავდასხმის ადგილზე აღმოჩნდა, შეეცადა, ცხოველი ადამიანისთვის მოეშორებინა, მაგრამ ვერ შეძლო და იძულებული გახდა, ვეფხვი მოეკლა.

ტყვიით დაჭრილი ცხოველი ვოლიერის სიღრმეში მიიმალა და მალევე დაიღუპა. დამლაგებელმა სერიოზული დაზიანება მიიღო და ის შვეულმფრენით საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

მამაკაცმა, რომელსაც სასიკვდილო დიაგნოზი დაუსვეს, შეყვარებულზე იქორწინა



შოტლანდიაში მამაკაცმა, რომელმაც შეიტყო, რომ უიმედოდ იყო დაავადებული, შობის წინა დღეს შეყვარებულს ხელი სთხოვა.

დეკემბრის დასაწყისში ხუთი გოგონას მშობლებმა ჯული ნილსონმა და 44 წლის მაიკლ დაფომ შეიტყვეს, რომ მამაკაცს ღვიძლის კიბო ჰქონდა. ექიმებმა ავადმყოფი გააფრთხილეს, რომ კიბო მეტად აგრესიული იყო და მას რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდე სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი.

მას შემდეგ, რაც ექიმების პროგნოზი შეიტყო, წყვილმა დაქორწინება გადაწყვიტა. მათ სამ კვირაში გაუკეთეს ორგანიზება საქორწინო ცერემონიას, რომელიც საფეხბურთო სტადიონ სელტიკ პარკზე გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ წყვილის შვილები და ახლო ნათესავები. მათ ოცნების ხორცშესხმაში საქველმოქმედო ორგანიზაცია „საქორწინო სურვილების ამსრულებლები“ და ახლობლებისა და კეთილისმსურველების მიერ გაღებული შემოწირულობა დაეხმარა.

ნილსონის თქმით, მიუხედავად ასეთი არასახარბიელო პროგნოზისა, ის და მისი მეუღლე დანებებას არ აპირებენ და დაავადების დასამარცხებლად ბოლომდე იბრძოლებენ.

სანაყინე კაფეს თანამშრომელმა მძარცველი სკამის დახმარებით დააკავა

ბრაზილიაში სანაყინე კაფეს მამაცმა თანამშრომელმა მომხმარებლების თვალწინ დააკავა მძარცველი და სახელი გაითქვა.

აღნიშნული ინციდენტი, რომელიც ვიდეოზე იქნა გადაღებული, სანტა-კატერინას შტატის ბრუსკის მუნიციპალიტეტში მოხდა. კაფეში, რომელშიც ათამდე მომხმარებელი იმყოფებოდა, მათ შორის რამდენიმე ბავშვი, შევიდა მამაკაცი, რომელსაც თავზე მოტოციკლისტის ჩაფხუტი ეხურა და მაშინვე სალაროსკენ გაემართა.

თავდამსხმელმა დანა ამოიღო და მთელი ნავაჭრი თანხა მოითხოვა. სანამ მოლარე სალაროდან ფულს იღებდა, დაწესებულების ერთ-ერთი თანამშრომელი მიხვდა, რაც ხდებოდა და გადაწყვიტა, კოლეგას დახმარებოდა. მან აიღო სკამი, მიეპარა მძარცველს და ჩასცხო. ბოროტმოქმედი ამან დააბნია, დაწესებულების თანამშრომლებმა კი ის ძირს დაგდეს და გაკოჭეს.

სანამ შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციელები მომხდარზე ოქმის შედგენას შეუდგებოდნენ, ისინი იძულებული გახდნენ, დამნაშავე გააფთრებული მომხმარებლებისგან დაეცვათ, ვინაიდან მათ მისი ლინჩის წესით დასჯა სურდათ.

ადგილობრივი პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელ ეხიდიო ფერარის თქმით, ინციდენტის შედეგად კაფეს თანამშრომლებიდან და მომხმარებლებიდან არავინ დაშავებულა. კაფეს იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც მძარცველს დაკავების დროს დაზიანებები მიაყენეს, არანაირი ბრალდება არ იქნება წაყენებული. ბოროტმოქმედმა ღამე საავადმყოფოში გაატარა, დილით კი ის დააპატიმრეს და ციხეში გადაიყვანეს. ამ დროისთვის მომხდარის გამოძიება გრძელდება.

მეხანძრეებმა ლაბრადორის ლეკვები დაღუპვას გადაარჩინეს

ინგლისის უესტ-მიდლენდსის საგრაფოს ქალაქ ბირმინჰემში მეხანძრეებმა ალმოდებული სარდაფიდან ლაბრადორის ოთხი ლეკვი გამოიყვანეს და დაღუპვას გადაარჩინეს.

ადგილობრივი დროით დაახლოებით დილის ცხრა საათზე სახანძრო რაზმი ასტონის რაიონში გამოძახების ადგილზე მივიდა. იქ მათ ალმოდებული სარდაფი დახვდათ, შიგნით შესულებმა კი შავი ფერის პაწაწინა ლეკვები აღმოაჩინეს.

მეხანძრეებმა პატარა ცხოველები გარეთ გამოიყვანეს და სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს. ლეკვები ჟანგბადის ნიღბების წყალობით გადარჩნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

საბურთალო გაშვებულებს იმატებს

საფეხბურთო კლუბმა საბურთალომ თბილისური გუნდების დინამოსა და ლოკომოტივის რეორგანიზაციით იხეირა და გუნდი რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელით შეავსო.

თბილისის დინამოდან საბურთალოში გადავიდნენ ნოდარ ქავთარაძე, ბაქარ ქარდავა და ნოდარ იაშვილი, ლოკომოტივიდან – დავით უბილავა, ალექსანდრე გურეშიძე და ირაკლი სიხარულიძე. თითო ფეხბურთელიც საბურთალომ სხვა გუნდებიდან დაიმატა – გია ჩადუნელი (გაგრა) და ლაშა შინდაგორიძე (დინამო ბათუმი).

28 წლის ქავთარაძეს სხვადასხვა დროს მოსკოვის ლოკომოტივის მე-2 გუნდში, უნგრულ მეზოკოვედში, გორის დილასა და თბილისის ლოკომოტივში უთამაშია.

ქარდავას აქამდე მხოლოდ თბილისის დინამოს მაისური მოურგია.

იაშვილი და შინდაგორიძე, რომ იტყვიან, სახლში დაბრუნდნენ – ორივე მათგანს საბურთალოში ადრეც უთამაშია.

27 წლის ტანმაღალი მცველი ჩადუნელი ბოლოს გაგრის ღირსებას იცავდა, მანამდე კი თბილისის დინამოში, გორის დილაში, ქობულეთის შუქურასა და ფოთის კოლხეთში უთამაშია.

27 წლის უბილავას კარიერა სრულიად ლოკომოტივს ეკუთვნის და მისი კაპიტანიც იყო.

უბილავას მსგავსად, მცველია 26 წლის გურეშიძე და ერთმანეთთან კარგად არიან შეთამაშებულნი. გურეშიძე წლების განმავლობაში ლოკომოტივის ღირსებას უთამაშია ბოლნისის სიონსა და ფოთის კოლხეთში.

სიხარულიძეს დიდი წარდგენა არ სჭირდება – ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და თავდამსხმელია. სიხარულიძე წლების განმავლობაში ლოკომოტივის ღირსებას იცავდა და გუნდის მთავარი მეგოლეც იყო. ამპლუით ფორვარდი ეროვნული ლიგის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

საბურთალო დატოვეს ოგაგა ოდუკომ, ვიქტორ მუდრაკმა, აკაკი შულაიამ, გიორგი ერისთავმა და რომან ჩაჩუამ.

ბაიერნი შარშია

გერმანიის ჩემპიონი მიუნხენის ბაიერნი სკანდალში გაეხვია. ბავარიულ კლუბს ბრალად ედება მინიმალური შემოსავლის შესახებ კანონის დარღვევა.

ბაიერნს სასამართლოში კლუბის ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელების იურისტმა ანდრეას ვალდშმიდტმა უჩივლა.

– მიუნხენელები არღვევდნენ არა მხოლოდ კანონს მინიმალურ შემოსავალზე, არამედ თავს არიდებდნენ გადასახადებს, აყალბებდნენ დოკუმენტებს და თაღლითობდნენ სოციალური უზრუნველყოფის სფეროში. ბაიერნში სარგებლობდნენ იმით, რომ ყოველ დამწყებ სპეციალისტს სურს ჰქონდეს თავის პორტფოლიოში ჩანაწერი ასეთ დიად კლუბში მუშაობაზე. აიძულებდნენ, 47 საათის სანაცვლოდ 450 ევროდ ემუშავათ, რაც კანონით დაწესებულ ნორმაზე მეტია. ხანდახან ეს იყო 100 და თუნდაც 120 საათი.

თუ მწვრთნელები აღშფოთებას გამოთქვამდნენ, მათ ეუბნებოდნენ – საწვრთნელი ბაზის მიღმა თქვენი კონკურენტების მთელი ბრბო დგას, რომლებიც მზად არიან, დაუსვენებლად იმუშაონ უფრო ნაკლებ საფასურად. მრავალი წლის განმავლობაში ბაიერნი ხელოვნურად სწევდა დაბლა სპეციალისტთა სამუშაო საათებს.

იურისტი ამტკიცებს, რომ სიტუაციის შესახებ იცოდნენ კლუბის პირველმა პირებმა – ოლივერ კანმა, ჰასან სალიჰამიჯიჩმა და კარლ-ჰაინც რუმენიგემ. კანმა დაადასტურა მზადყოფნა ამ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე.

შეგახსენებთ, რომ 2014 წელს გადასახადებთან დაკავშირებით მანიპულაციების გამო ბაიერნის პრეზიდენტი ული ჰაინესი სასამართლომ გადასახადების დამალვაში დამნაშავედ ცნო და 3-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენი გარდაიცვალა

ლეგენდარული ქართველი სპორტსმენი, სამხტომში 3-გზის ოლიმპიური ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიოს 3-გზის რეკორდსმენი, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მძლეოსანი, საქართველოს მე-20 საუკუნის (და არამარტო) საუკეთესო სპორტსმენი ვიქტორ სანეევი 76 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სოხუმში დაბადებული სანეევი ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში გარდაიცვალა, სადაც საცხოვრებლად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გადავიდა. გარდაცვალების მიზეზად ინფარქტი სახელდება.

ერთი პატარა მონაკვეთი სანეევის სპორტული ცხოვრებიდან:

1968 წელს მეხიკოში გამართულ ოლიმპურ თამაშებზე, მძლეოსნობაში, კერძოდ კი სამხტომში იტალიელი ჯუზეპე ჯენტილე მსოფლიო რეკორდს უკვე საკვალიფიკაციო ეტაპზე ამყარებს – 17,10 მეტრი.

ფინალის პირველივე რაუნდში ჯენტილე თავისივე მსოფლიო რეკორდს 12 სმ-ით აუმჯობესებს – 17.22.

ამ დროს ყველა ფიქრობდა, რომ ჯენტილე ოლიმპიური ჩემპიონია, მაგრამ მე-3 ცდაზე ვიქტორ სანეევი ჯენტილეს რეკორდს 1 სმ-ით აუმჯობესებს!

მე-5 რაუნდში სულაც ახალი ფავორიტი ჩნდება – ბრაზილიელი ნელსონ პრუდენსიო 17.27 მეტრზე გადახტა და სანეევის რეკორდი დაამხო.

ბოლო მეექვსე რაუნდი... ვიქტორ სანეევი გამორბის... ერთი, ორი, სამი და... 17.39!!! ახალი მსოფლიო რეკორდი და პირველი ოლიმპიური ოქრო სანეევის ყულაბაში.

5 მსოფლიო რეკორდი 1 ფინალში – ასეთი რამ მსოფლიო სპორტის ისტორიაში არც მანამდე და არც მერე არ მომხდარა.

თავისი ბოლო მსოფლიო რეკორდი ვიქტორ სანეევმა ზუსტად 50 წლის წინ მშობლიურ სოხუმში დაამყარა.

ბარსამ ტორესი წარადგინა და ვერ არეგისტრირებს

ბარსელონამ დიდი ზარ-ზეიმით წარადგინა მანჩესტერ სიტიდან გადაბირებული ფერან ტორესი, მაგრამ ფეხბურთელის დარეგისტრირებას ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ.

შექმნილ პრობლემაზე კატალონიური გრანდის მთავარმა მწვრთნელმა ჩავი ერნანდესმა ისაუბრა და აღნიშნა, რომ ტორესის დასარეგისტრირებლად უსმან დემბელესთან კონტრაქტის გაგრძელებაა საჭირო.

ჩავი ერნანდესი:

– ყველაფერი არც ისე ადვილია. ხელფასების სიტუაციას უნდა დავაკვირდეთ და ვნახოთ, რა შეგვიძლია. მაგალითად, თუ დემბელე ჩვენთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს და მისი ხელფასის შემცირებას შევძლებთ, ამ შემთხვევაში ტორესის დარეგისტრირებაც შესაძლებელი იქნება. იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი გამოვა.

ბარსელონას მილიარდ ევრომდე ვალი აქვს, თუმცა ტორესის სანაცვლოდ 55 მილიონი ევრო გადაიხადეს. ესპანური სატრანსფერო რეგულაციების მიხედვით, ბარსელონა სახელფასო ზღვარს ჯერ კიდევ აჭარბებს, რის გამოც ტორესის დარეგისტრირება ვერ ხერხდება. ზოგადად, ბარსელონის მთავარი პრობლემა ახლა სწორედ ხელფასებია. მას შემდეგ, რაც კლუბი მოთამაშეებს დასაშვებზე მეტს უხდის, შემოსავლების მხოლოდ მეოთხედის დახარჯვა შეუძლია.

შესაბამისად, ხარჯების შესამცირებლად მნიშვნელოვანია, რომ დემბელემ კონტრაქტი გააგრძელოს და ხელფასი შეიმციროს. დამატებითი ფინანსების მოსაზიდად და სახელფასო ფონდის შესამცირებლად ბარსელონიდან წასვლის კანდიდატები არიან ფილიპე კოუტინიო, სამუელ უმტიტი და სათადარიგო მეკარე ნეტუც.

ბარსელონის სპორტული დირექტორი მატეუ ალემანიც ადასტურებს, რომ ამ მომენტისთვის გუნდს ტორესის ლა ლიგაში დარეგისტრირება არ შეუძლია.

მატეუ ალემანი:

– ამჟამად ფერან ტორესის დარეგისტრირება არ შეგვიძლია, მაგრამ, იმედი გვაქვს, რომ ამ პრობლემას იმ დროისთვის მოვაგვარებთ, როდესაც თამაში შეეძლება. დემირის წასვლა დაგვეხმარება, ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობთ. ვნახოთ, რა მოხდება ლუკ დე იონგთან დაკავშირებით.

მორატა? ჩავიმ ფერან ტორესი ითხოვა და მან მიიღო ის საჩუქარი, რომელიც სურდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჩოგბურთელთა ნაკრების მეორე მარცხი

ატპ თასზე საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები დ ჯგუფის მეორე მატჩში პოლონეთს შეხვდა და 0:3 წააგო.

ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში მიმდინარე ტურნირზე საქართველოს ნაკრებს ნიკოლოზ ბასილაშვილი გამოაკლდა, რომელიც კორონავირუსის შემდეგ სასურველ ფორმაში არ არის. შედეგად, ბასილაშვილის არყოფნაში კორტზე ალექსანდრე მეტრეველი და ალექსანდრე ბაკში გავიდნენ.

რეიტინგში 972-ე ადგილზე მყოფი ბაკში 117-ე ჩოგან კამილ მაიხუაკს დაუპირისპირდა და საათზე ნაკლებ დროში დამარცხდა – 1:6, 1:6.

მეტრეველმა (571) კი, მსოფლიოს მეცხრე ჩოგანს ჰუბერტ ჰურკაჩს პირველი სეტი აართვა, მაგრამ დარჩენილ სეტებში ვერაფერი გააწყო და მატჩი მეტოქეს გაატანა – 7:6, 3:6, 1:6 წააგო.

პირველი სეტი მოიგო წყვილთა დაპირისპირებაში ბაკშისა და ზურა ტყემალაძის დუეტმაც, რომელთა მეტოქეები სჟიმონ ვალოვი და იან ზელინსკი იყვნენ, მაგრამ უპირატესობა ვერც მათ შეინარჩუნეს – 7:6, 2:6, 6:10.



შეგახსენებთ, ატპ თასის პირველ ტურში საქართველომ ასევე მშრალი ანგარიშით – 0:3, არგენტინასთან დათმო. საქართველოს ნაკრებს სათამაშო კიდევ ერთი მატჩი დარჩა – 5 იანვარს საბერძნეთთან.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

2 იანვარი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ინგლისი. პრემიერლიგა

ბრენტფორდი-ასტონ ვილა 2:1
ლიდსი-ბარნლი 3:1
ევერტონი-ბრაიტონი 2:3
ჩელსი-ლივერპული 2:2

სტატისტიკა ცხრილი:

1.სიტი	21	17	2	2	53-13	53
2.ჩელსი	21	12	7	2	45-16	43
3.ლივერპული	20	12	6	2	52-18	42
4.არსენალი	20	11	2	7	33-25	35
5.ვესტ ჰემი	20	10	4	6	37-27	34
6.ტოტენჰემი	18	10	3	5	23-20	33
7.მანჩესტერი	18	9	4	5	30-265	31
8.ბრაიტონი	19	6	9	4	20-20	27
9.ვულვზი	18	7	4	7	13-14	25
10.ლესტერი	18	7	4	7	31-33	25
11.კრ.პალასი	20	5	8	7	29-30	23
12.ბრენტფორდი	19	6	5	8	23-26	23
13.ასტონ ვილა	19	7	1	11	25-30	22
14.საუთჰემტონი	19	4	9	6	20-29	21
15.ევერტონი	18	5	4	9	23-32	19
16.ლიდსი	19	4	7	8	21-37	19
17.უოტფორდი	18	4	1	13	22-36	13
18.ბარნლი	17	1	8	8	16-27	11
19.ნიუკასლი	19	1	8	9	19-42	11
20.ნორვიჩი	19	2	4	13	8-42	10

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბრისტოლი-მილუოლი 3:2
ბირმინგემი-ქარ 1:2
ბლექბერნი-ჰადერსფილდი 0:0
ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი 1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხეტაფე-რეალი 1:0
ატლეტიკო-რაიო 2:0
ელჩე-გრანადა 0:0
ალავესი-სოსიედადი 1:1
ბეტისი-სელტა 0:2
მალიორკა-ბარსელონა 0:1

სატესტინიო ცხრილი:

1.რეალი	20	14	4	2	41-17	46
2.სევილია	18	11	5	2	29-13	38
3.ბეტისი	19	10	3	6	32-23	33
4.ატლეტიკო	19	9	5	5	31-22	32
5.ბარსელონა	19	8	7	4	30-22	31
6.რაიო	19	9	3	7	26-20	30
7.სოსიედადი	19	8	6	5	21-21	30
8.ვალენსია	19	7	7	5	31-28	28
9.ესპანიოლი	19	7	5	7	22-22	26
10.ვილიარეალი	18	6	7	5	26-20	25
11.ბილბაო	19	5	9	5	17-16	24
12.სელტა	19	6	5	8	22-22	23
13.გრანადა	19	5	8	6	23-26	23
14.ოსასუნა	18	5	7	6	17-22	22
15.მალიორკა	19	4	8	7	17-28	20
16.ხეტაფე	19	4	6	9	13-20	18
17.ელჩე	19	3	7	9	18-27	16
18.ალავესი	19	4	4	11	16-30	16
19.კადისი	18	2	8	8	15-31	14
20.ლევანტე	18	0	8	10	19-36	8

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალმერია-კარტახენა 0:1
ვალიადოლიდი-ლეგანესი 1:0
ხიხონი-ლუგო 1:1
მირანდესი-სარაგოსა 2:0
უესკა-ხირონა 0:1
ფუენლაბრადა-იბიცა 1:2
ტენერიფე-ლას პალმასი 0:1

პოჩტეგალია. პრიმეირა ლიგა

ვიზელა-ბელენენსესში 2:0

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ



შვეულად: 1. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად: 2. მდინარე ციმბირში; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ღამის ფრინველი; 5. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 6. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 7. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 10. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 13. ბრიტანული ტაქსი; 16. ფოტოგრაფის სახელოსნო; 18. იმპრესიონიზმის ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 19. სპარსელი პოეტი; 21. რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული დიდი საწნახელი; 24. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

თარაზულად: 1. ბეთჰოვენის ოპერა; 3. შამფურზე შემწვარი ხახვითა და სუნელებით შეზავებული დაკეპილი ხორცის მოგრძო გუნდა; 8. მესხების, გურულების, აჭარლების მოკლე ჩოხა; 9. ბალკანეთის სლავების საფერხულო ცეკვა; 14. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 15. იტალიური მსუბუქი ავტომობილი; 17. ჭადრაკის ფიგურა; 20. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული; 22. ნავსადგური უკრაინაში; 23. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 25. საყოფაცხოვრებო ელექტრონული ხელსაწყო; 26. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 27. ცხვრის ქონიანი კუდი; 28. ტუნისის ჩრდილოეთში მდებარე ისტორიული მონათმფლობელური სახელმწიფო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲯᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ექსტაზი; 2. ძელქვა; 3. კომპლექსი; 4. მარუხი; 5. ჰელვეცია; 7. აუდი; 11. ლინდერი; 13. ღვარძლი; 15. გრევი; 16. ვენტა; 18. ნამჯა; 19. იუნგა.

თარაზულად: 6. ქრთამი; 8. ნეილონი; 9. ბორჩალო; 10. არქიელი; 12. დანტე; 14. კიბუცი; 17. სტაგნაცია; 20. ღვეზელი; 21. ივრითი; 22. ჯუნგლი; 23. ფაგოციტი.

ᲯᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ჯეკი; 2. ირი; 3. რაფინადი; 4. პო; 5. კანონადა; 6. ჯარა; 7. ქაშვეთი; 10. ტროა; 11. სიურპრიზი; 12. ვალმარტი; 13. მესა; 16. ტროფეი; 18. სალიამი; 19. აპოხტი; 21. შტილი; 24. დაზგა.

თარაზულად: 1. ჯამბაზი; 3. როკაპი; 8. ჯაფარა; 9. კიტო; 14. შოლცი; 15. კესონი; 17. ლუზა; 20. დეპეშა; 22. დრაგი; 23. პრაიდი; 25. ლია; 26. ფინო; 27. ჩილე; 28. ზანზალაკი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0887

ევრო — 3.5072

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1738

100 რუსული რუბლი — 4.1576

ამინდის პროგნოზი 4 იანვრისათვის



ხავიმ მალიორკასთან გამარჯვება შეაფასა

ბარსელონამ სტუმრად მალიორკა დაამარცხა 1:0 და ეს გამარჯვება კატალონიელებისთვის იოლი არ ყოფილა. განსაკუთრებით ეს ბოლო წუთებს ეხება, როდესაც ისინი მარკ ანდრე ტერ შტეგენმა აშკარა გოლს გადაარჩინა.

მიუხედავად ამისა, ხავი მაინც კმაყოფილი დარჩა:

– ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო და შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა მეორე ტაიმი გაცილებით უკეთესი უნდა ყოფილიყო. ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა და ამ ფაქტორმა, ბუნებრივია, იმოქმედა.

ჯეიმი კარაგერმა ლივერპული გააკრიტიკა

ლივერპულმა ჩელსისთან მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა და ჩემპიონობის შანსი კლოპის გუნდს თითქმის აღარ აქვს.

ლივერპული 2 ბურთით იგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და სწორედ ეს ფაქტორი გააკრიტიკა ჯეიმი კარაგერმა:

– სიტი ლივერპულს ამით სჯობია, რომ როდესაც ისინი იგებენ, ყოველთვის ახერხებენ საქმის ბოლომდე მიყვანას, ლივერპულმა კი ბევრი ასეთი ქულა დაკარგა და შედეგიც სახეზეა.

ირაკლი აზაროვი კარიერას ტრაბზონსპორში გააგრძელებს

საქართველოს ნაკრებისა და ბათუმის დინამოს ახალგაზრდა მცველი ირაკლი აზაროვი კარიერას თურქულ ტრაბზონსპორში გააგრძელებს და ის უკვე თურქეთში იმყოფება. აზაროვი გასულ სეზონში საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს და მას ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი. ტრაბზონსპორი მის ტრანსფერში 2 მილიონ ევროს გადაიხდის.

მოამზადა ბექა ვოგინაშვილმა

ამერიკის ქალაქში თევზების წვიმა მოვიდა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ტეკსარკანაში რამდენიმე წუთის განმავლობაში თევზების წვიმა მოდიოდა. უჩვეულო მოვლენის თვითმხილველი გახდა ჯეიმს ოდრიში, ნახმარი მანქანებით მოვაჭრე. მისი თქმით, მის კოლეგა ბრედ პრატს უცნაური ხმები შემოესმა, გარეთ გაიხედა და დაინახა, თუ როგორ ცვიოდა ციდან თევზები.

– ძლიერი ელ-ჭექის ხმა იყო და როდესაც კარი გავაღეთ და გარეთ გავიხედე, დავინახე, რომ კოკისპირული წვიმა მოდიოდა და მიწაზე თევზები ცვიოდა. კოლეგას ვუთხარი, რონ თევზების წვიმა მოდიოდა. ბრედმა მიპასუხა: „შეუძლებელია.“ მე კი ვეუბნები: „მართლა!“ და ყველგან თევზები ცვიოდა, – განაცხადა ამერიკელმა.

ავტოსადგომზე ყველგან ეყარა პატარა თევზები, კიდევ რამდენიმე ქუჩის მეორე მხარეს ჩამოვარდა. მათი სიგრძე 10-12 სანტიმეტრს არ აღემატებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

4 იანვრისათვის

ვერძი – ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, ასევე – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **ტყუპები** – შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **კირჩხიბი** – დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ, რათა მიზანს მიაღწიოთ. **ლომი** – აგრესიული ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობაზე გაამახვილეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **სასწორი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. დღეს კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით. **ღრიანკალი** – კონფლიქტური დღეა. დაიმახსოვრეთ, დუმილი ოქროა. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **მშვილდოსანი** – მშვენიერი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად. **თხის რქა** – გირჩევთ, ეს დღე სახლში გაატაროთ. ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდით. თავი მოიწესრიგეთ. **მერწყული** – ზედმეტი მიმნდობლობა სასურველი არ არის. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან. **თევზები** – ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

საავადმყოფოს დერეფანში საოპერაციოს კართან მამაკაცი ნერვულად დადის წინ და უკან. ბოლოს, როგორც იქნა, კარი გაიღო, ქირურგი გამოვიდა და ეუბნება:

– თქვენთვის ცუდი ამბავი მაქვს. ოპერაციის მესამე საათზე დედათქვენი...

– ექიმო, ის დედაჩემი კი არა, ჩემი სიდედრია!

– მაშინ თქვენთვის კარგი ამბავი მაქვს. ოპერაციის მესამე საათზე...

•••

გვიან ღამით, ძილ-ბურანში მყოფ ცოლს მეუღლის სიტყვები ჩაესმის:

– საყვარელო, მოდი სექსით დავკავდეთ.

ცოლი ნამძინარევი ხმით პასუხობს:

– ძალიან დავიღალე, თავიც მტკივა...

ქმარი კი პასუხობს:

– დაიძინე, დაიძინე, შენ არ გეუბნები, ტელეფონზე ვლაპარაკობ...

•••

საიუველირო მაღაზიაში შესულ მამაკაცს გამყიდველი გოგონა ფართო ღიმილით შეეგება და ეუბნება:

– რა კარგია, რომ ჩვენ მაღაზიაში შემოხვედით. ვალენტინობის დღესთან დაკავშირებით 20 პროცენტიანი ფასდაკლება გვაქვს. უყიდეთ რამე თქვენს შეყვარებულს. აი, თუნდაც ეს გულის ფორმის ოქროს ყელსაბამი. დარწმუნებული ვარ, თქვენ შეყვარებულს ძალიან მოეწონება.

– არ მყავს შეყვარებული...

– შეუძლებელია, ასეთ წარმოსადეგ, ლამაზ, ტანად მამაკაცს შეყვარებული არ ჰყავდეს. და რატომ?

– ცოლი არ მაძლევს მაგის უფლებას...

•••

კლასში შესული მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს:

– დღეს საკლასო წერა გვაქვს.

– მასწავლებელო, კალკულატორით სარგებლობა შეიძლება? – ეკითხება მოსწავლე.

– ჰო, გიგი. ბავშვებო, დღევანდელი საკონტროლო წერის თემა იქნება ქალთა სახეები „ვეფხისტყაოსანში“.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ტელეფონზე ურეკავს და ეკითხება:

– აბა, როგორ ხარ? დიდი ხანია არ მინახიხარ. როგორ მიდის შენი ცხოვრება დაოჯახების შემდეგ?

– ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ!

– რა, ცოლი გვერდით გიდგას?

– ძალიან კმაყოფილი ვარ!

– გამაგრდი მეგობარო, გამაგრდი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნუცა ბუზალაძემ ამერიკაში პირველი კლიპი გადაიღო

მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ წინასაახალწლო დღეები აქტიურად გამოიყენა და ამერიკაში თავისი პირველი კლიპი გადაიღო.

– ბოლო 24 საათის განმავლობაში ლოს ანჯელესში გადავიღე ჩემი პირველი კლიპი და შემდეგ გამოვფრინდი ნიუ იორკში, ფოტოსესიაც გავაკეთეთ. არ ვიცი, როგორ მოვასწარი ყველაფერი, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაფერი დასრულებულია. ჩემი პირველი ახალი წელი იქნება აქ, რაც ჩემი ოცნება იყო, დიდი ხანია.

„სამზარეულოს ომების“ გამარჯვებულები გიორგი ხარბედია და ლუკა ვერულაშვილი გახდნენ

ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში კულინარიული შოუს „სამზარეულოს ომების“ მეორე სეზონი დასრულდა.

პროექტის გამარჯვებულები გიორგი ხარბედია და ლუკა ვერულაშვილი გახდნენ.

მათ საკმაოდ რთულ და დაძაბულ საკონკურსო ტურებში აჯობეს კონკურენტებს და გამარჯვებაც დამსახურებულად მოიპოვეს.

ნინო ხარატიშვილს გერმანიის კულტურის მინისტრმა საუკუნის მწერალი უწოდა

ქართველ მწერალ ნინო ხარატიშვილს გერმანიის კულტურის მინისტრმა კლაუდია როთმა საუკუნის მწერალი უწოდა, გერმანიაში მოღვაწე ქართველი შემოქმედის რომანს „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ კი – საუკუნის რომანი.

კლაუდია როთმა ერთ-ერთი გერმანულენოვანი გამოცემისთვის მიცემული ინტერვიუ სწორედ ნინო ხარატიშვილის ქებით დაიწყო.

ნინო ხარატიშვილის ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო საქართველოსა და გერმანიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. მისი რომანები სხვადასხვა თეატრის სცენაზეც იდგმება.

დათო კენჭიაშვილმა „ვეფხისტყაოსანი“ აამღერა

მომღერალმა დათო კენჭიაშვილმა გადაწყვიტა, ათასობით მსმენელს თავისი ახალი ნამუშევარი წარუდგინოს. „ვეფხისტყაოსანი“ (ექსპერიმენტი) – ასე ეწოდება მომღერლის ახალ ნამუშევარს, რომელიც მან შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის მიხედვით ჩაწერა. დათო კენჭიაშვილმა ექსპერიმენტისთვის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფები გამოიყენა და მრავალფეროვანი მუსიკალური ინსტრუმენტების სინთეზიც ორიგინალურ მუსიკაზე აამღერა. დათო კენჭიაშვილმა სიახლე მსმენელს საახალწლო დღეებისთვის შემოუნახა და ინტერნეტში ორიოდე დღის წინ გაავრცელა.

მომღერლის გულშემატკივრებმა მისი ახალი ნამუშევარი მოიწონეს, გააზიარეს და დათოსთვის დადებითი და საქებარი კომენტარებიც არ დაიშურეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა



ადელმა სილვესტერ სტალონეს სახლი „ჩამოფასებით“ შეიძინა

ბრიტანელმა მომღერალმა ადელმა ბევერლი-ჰილზში ამერიკელი მსახიობის სილვესტერ სტალონეს სახლი მას შემდეგ შეიძინა, რაც მან მისი გაყიდვა თავდაპირველ ფასად ვერ შეძლო და სახლის ფასი თითქმის გაანახევრა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „რემბოზე“ ფილმების ვარსკვლავი ცდილობდა, სახლი 81 მილიონ ფუნტ სტერლინგად გაეყიდა, მაგრამ ამ ფასად სახლს მყიდველი არ გამოუჩნდა. გასული წლის მაისში სტალონემ ფასი 63 მილიონამდე დასწია, თუმცა ვერც ამან გამოიღო შედეგი. მაშინ ამერიკელმა ვარსკვლავმა ახალი ფასი, 42 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოაცხადა. ახალმა ფასმა მომღერლის ყურადღება მიიპყრო და ადელმა მისი შეძენა გადაწყვიტა.

ამგვარად ინგლისელმა მომღერალმა თავისი უძრავი ქონების პროფილი გააფართოვა, რომელშიც უკვე შესულია სახლები ლონდონსა და ლოს-ანჯელესში. 33 წლის ადელისა და მისი მეუღლის, 40 წლის სპორტის აგენტ რიჩ პოლის ქონება 140 მილიონ ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოხსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ზღვისპირა ბალნეოლოგიური კურორტი ოდესის მახლობლად; 2. ომონიმებით გარითმული ლექსი. 3. ქვეწარმავალთა სადგომი ზოოპარკში; 4. შაქრის წარმოების ნარჩენი სქელი შავი სითხე; 5. მხარე გერმანიაში; 7. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 11. ორი ერთდროული დაცლა ორლულიანი სანადირო თოფით; 13. სატირული ხასიათის მიბაძვა; 15. ესპანური სპორტული გაზეთი; 16. ხეობა, მდინარე აფხაზეთში; 18. ბელინის ოპერა; 19. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი.

თარაზულად: 6. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 8. ჩრდილოაფრიკელი არაბების სახელწოდება ევროპაში ძველად; 9. ბაზრის ძველებური სახელწოდება; 10. ცხვრის საკრეჭი მაკრატელი; 12. გერმანელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. ურუგვაის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი; 17. ლირიკული ჟანრის სვანური სიმღერა; 20. გემოს შეგრძნების უნარის დაკარგვა; 21. პატარა იუმორისტული პიესა; 22. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 23. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა